



3

• СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО • SOVIET ART • SOWJETKUNST

180
1966/3

180/3

ՀԱՅՔՄՈՂ

75

ԵՂՆՈՅԵՂԻ

1966



საბავშვო საბავშვო

10.001

თავის
მეგობარს
გაუგონებლად
ჩინო
კეთილგონიერად
ქმედობდა

საბავშვო ჟურნალის საბავშვო საბავშვო
საბავშვო ჟურნალის საბავშვო

3 • 1966





C. 2000



ლადო გუდიაშვილი

მეცხვარეები

ლადო გუდიაშვილი

← ხუთიანი ცხოვრებაში



**სესილია
თაყაიშვილი—
სსრკ სსხლსო
არტისტი**

სესილია თაყაიშვილი.

ქემარიტად სახალხო შემოქმედი, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მხრებით ზიდა ქართული თეატრის ჭირი და ლხინი, კარგი და ავი, იყო მისი გამარჯვებების უშუალო მონაწილე და უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა თეატრისა თუ კინოს აღმავლობის საქმეში.

ს. თაყაიშვილი მეტად საყვარელი, პოპულარული მსახიობია. დიდბუნებოვანი მანდილოსანი, კეთილშობილი მოქალაქე. ამიტომ იყო, რომ აღფრთოვანებითა და აღტაცებით შეხედა ქართველი მკურნებელი სასიხარულო ცნობას — სესილია თაყაიშვილისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ.

საპატიო წოდება!

ხალხმა მიანიჭა იგი, ხალხმა დასდო პატივი. ხალხს ემსახურა იგი მთელი თავისი არსებით, სწორუბოვარი ნიჭით, მრავალი წლის მანძილზე.

დაუფასდა ამაგი მართო ზურიკელას კი არა, — ყველას ბეზიას, განსაცვიფრებელს, რომ ჩაიფრულა და დატოვა ნათელი ცხოვრება. დაუფასდა ამაგი ხასხასა გვირისტინეს, შექსპირის უბედო ჯულიეტას გადაის, უცხო ფერებით გამოძერწილ, ინგლისის ზვიად დედოფალს — ელისაბედს, ტაიფუნის მსხვერპლს, ამყსა და შეურყეველ დედას — ში-პინს, დაუფასდა ამაგი მას, ვინც გულწრფელი სიცილით აციენებს და ახალისებს ათასობით კინომაკურებელს — „ჩენი ეზოს“, „საბუდარელი ჭაბუკის“ „მანანას“ და სხვა კინოფილმების გმირ ქალებს, — დედებს, ბებიებს, მამიდებს, ქალებს, ხან რომ ცნობისმოყვარეობა კლავთ და ჭორებით ცოცხლობენ, ხან კი კეკლუცობენ და გვაყინებენ, ხან ტირიან და ალაღ ცრემლს გავღვრევენ... და მუდამ გვაოცებენ ფერთა სიუხვით, ნიუანსების სიმრავლით, მდიდარი მიმიკით, უშუალოებით, გასაოცარი ალღოთი, გემოვნებით, რაც მთავარია — დიდი სიმართლით.

ქურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია სულითა და გულით ულრცავს დაუბრებელ შემოქმედს სესილია თაყაიშვილს ამ საპატიო წოდებას და მრავალჯამეორ შემოქმედებით მუშაობას უსურვებს..

სამხატვრო გამოყენაზე

ლეილა თაბუკაშვილი



ასული წლის ბოლოს საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში მოწყობილ „საშემოდგომო გამოფენაზე“ ლირიკული პეიზაჟების სიტარბე იგრძნობოდა. ძალზე მცირე რაოდენობით იყო პორტრეტი და თითქმის სულ არა — ჩვენი სინამდვილის სხვადასხვა მხარის ამსახველი ჩანახატი-ეტიუდი, ჟანრული თუ საწარმოო მოტივები. მიუხედავად ამისა, გამოფენის ნაკლად პეიზაჟების სიტარბეს მაინც ვერ ჩავთვლით, რამდენადაც ამ ჟანრის ნაწარმოებთა უმრავლესობა მხატვრულად საინტერესო იყო და რაბადაც ახალი კუთხით ხსნიდა საქართველოს ამა თუ იმ კუთხის



გივი ნარმანია

ზამთარი

თავისებურ მომხიბვლელობას. თვითელი ავტორის წინაშე დასმული ამოცანებისა თუ მხატვრული ხედვის, შემოქმედების, ემოციური საწყისის განსხვავებულობა, ბოლოს—მაღალი პროფესიონალიზმი—ყოველივე ეს ნიშანდობლივი იყო ამ გამოფენაზე ექსპონირებული პეიზაჟური—ფერწერული და გრაფიკული დაზგური ნაწარმოებებისათვის. გამოფენას უთუოდ საინტერესოს ხდიდა მასზე წარმოდგენილი ნატურმორტებიც, რომლებშიც ჩანდა ავტორთა კარგი მხატვრული მიგნებები, ფაქიზი გემოვნება კოლორისტულ და კომპოზიციურ გადაწყვეტაში. უბრალოების მომხიბვლელობა განაპირობებდა ბევრ შემთხვევაში ამ ნატურმორტების ესთეტიკურ ღირსებებს.

ამოცანების მიხედვით, რომელთაც მხატვრები სვამენ თავიანთ წინაშე, პეიზაჟურ ტილოებში სხვადასხვა ჩანაფიქრი შე-

მიხილ ზვიტია

ლილა





რუსთ კაკაბაძე

თბილისი

ინიშნება. ავტორთა ერთი ნაწილი ისწრაფვის ამ თუ იმ კუთხის — იმერეთი იქნება ეს, კახეთი თუ საქართველოს მატარებელნი — მხარეები — თავისებურებისა და ხასიათის დეტორტიკულ-ფერადოვანი ხაზვასმით გადმოცემას, მეორენი უფრო უშუალონი არიან და ფაქტურულად, რეალური სისავით წარმოსახვენ პეისაჟურ მოტივს, მესამენი ცდილობენ ღრმად ჩასწვდნენ ბუნების შინაგან ნაწყობობებს და ამაღლებული პოეტური განცდა ჩააქსოვონ, იდუმალებად და ინტიმურობად შეიტანონ მასში. ამ უკანასკნელის ნიმუშებად გამოფენასზე უნდა დავასახელოთ გივი ნარმანიას, მიხეილ ხვიტაას, გივი ცერაძის, ლეო ხოჯაიანის ნაწარმოებები. არა თვით პეისაჟური ფერწერული მოტივი განსაზღვრავს გივი ნარმანიას ნამუშევრების გამოხატაველობას, არამედ სურათი-პეისაჟის ხასიათი, ჩანაფიქრის ღრმა პოეტურობა, რისი პლასტიკური ხორცშესხმისათვისაც მხატვარს პყვიფის გემოვნება, კომპოზიციური აზროვნებაცა და საერთოდ ბუნების სათუთი შეგრძნება. მისი ზამთრის პეისაჟები იქცაპოეზიიდან გამოირჩეოდა ავტორის ძალზე თავისებური ხედვით, ნატიფი ისტატობით, კოლორიტის სინაზითა და კეთილშობილებით. ნარმანიას უყვარს ზამთრისა და გაზაფხულის, საბურველშემოცლილი სეზონის გამოხატვა თოვლიან ან ყამირის ღია ფონზე, იგი საამისოდ ზემოდას არჩევს ხედვის წერტილს, რათა აღებულოს ღამაში კონტრასტები მუქი ღეროების ბაც ფონთან.



ირინე ბეჟანიშვილი


ბაკურიანი

„დილა“, „შემოდგომის დღე“ — უკვე სახელწოდება განსაზღვრავს ავტორის ჩანაფიქრს — შექმნას გარკვეული განწყობილება დაკავშირებული ამა თუ იმ დროსთან. ჩვენი ნიჟერი პეისაჟისტის მიხეილ ხვიტაას შემოქმედებაში, მისი ტილოების ემოციურობაში წამყვანია ლირიკული საწყისი. უმთავრეს შემთხვევაში, სურათოვნებასა და სახეობრიობასთან ერთად მის ქმნილებებში ეს თბილი ლირიზმიც გვხვობავს. მხატვრის პეისაჟები სხვადასხვაგვარია მხატვრულ-ფერწერულ ამოცანების თვალსაზრისით, მაგრამ ბუნების განსაკუთრებული გავება, მასში მოძრავი, შინაგანად ახმინებული ხტების დაჭერა ხვიტაას ტილოებისათვის მუდამ ნიშანდობლივია.

პასტოზურადაა დაწერილი გივი ცერაძის პეისაჟები, რომლებიც ასევე ბუნების მდგომარეობას გადმოსცემს. „წვიმის შემდეგ“, „სიონი“, შეიძლება მიგაკუთვნონთ იმ საინტერესო ციკლს, რომელიც მხატვარმა ბოლო გამოფენებზე წარმოადგინა. ლირიკული და შთამბეჭდავი იყო რუსუდან ჯაგირიშვილის ასალი ნამუშევრებიც.

როგორც ფაქიზი პეისაჟისტი, ვფიქრობთ, ასე მკაფიოდ პირველად წარმოვივლიდა კ. კიკნაძე თავის იმერულ სერიამში. თბილი ოქროსფერები ღამაზად ეხმინება მის სურათებში შორეული პლანების გამჭვირვალე ცისფერებს. შვით გასხვიონებულ მიდამოებში მყუდროება დაშვიდებულა. მხატვარი სათუთად ამუშავებს პეისაჟის თვითეულ ფორმას, ამავე დროს ყველაფერი ემორიილება საერთოს, ქმნის ერთიან პარმონიას მასშტაბურობად, სურათოვნებად, პეისაჟის ფართო სუნთქვარაც ჩვენი დიფისტატის ელზე ახლედინის ბევრ ნაწარმოებს ახასიათებს, ნიშანდობლივია მისი ბოლო ნამუშევრებისთვისაც — „იმერეთში“ და „ლენხუში“. ჩვენს წინ ვრცელი, მრავალპლანინი პანორამებია გაშლილი. ადამიანის ხელით სახეცელილი მთაგორები შორს, პერსპექტივაში, მიუვალ თოვლიან მთებს უერთდება...

დიდად ნაყოფიერი პეისაჟისტიკა ლეო ძაპაძიძე. თითქმის ყოველი სამხატვრო გამოფენიდან გვახსოვს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ამსახველი მისი ვრცელი სერიები. არ შეიძლება თვითეულ სურათში არ შევიტანოთ მხატვრის ტემა-



ნოდარ ქართველიშვილი

ხევისურეთი

სოლომონ იაშვილი



ლოტბარი, კელაპოგი

ბარამ ბარამიძე

ქართული სასიმღერო რეპერტუარის შენახვასა და გაფრცელებას ემსახურებოდა გამოჩენილ ქართველ ლოტბართა დიდი ბლეადა, რომელთა შორის შეფუძლები არცნობილ სახელებს: ავქსენტე მგერელიძე, ძუკუ ლოლუა, ნოკი ხურცია, კირილე პაჭკორია. დღესაც განაგრძობენ მოღვაწეობას მარო თარხნიშვილი, არტემ და ვლადიმერ ერქოშიაშვილები, ვანო მჭედლიშვილი, რომელთა ყოველდღიური ცხოვრება ხალხური სიმღერისადმი სიყვარულით და მისდამი სამსახურითაა სავსე.

ქართული სიმღერის შესწავლა-შეკრობებასა და პოპულარიზაციას დიდი ამაგი დახლო ღვაწლმოსილმა ლოტბარ-

მა სოლომონ გიორგის ძე იაშვილმაც, რომელსაც გასულ წელს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. აქედან თითქმის ნახევარი საუკუნე ქართული სიმღერის სამომავლო შევლია და თავისი პატიოსანი და უანგარო შრომით დიდი სამსახური გაუწია ეროვნულ კულტურას.

1920 წელი. სურამის სასოფადოებას იამოვნებით ესწრება ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი გუნდის კონცერტებს შალვა მშველიძის ხელმძღვანელობით. გუნდის ერთ-ერთი წევრი და ლოტბარის მარჯვენა ხელია 17 წლის მომღერალი სოლომონ იაშვილი, რომელიც აქ ხალხური სიმღერის სიყვარულმა და დიდმა ეროვნულმა გრძობამ მიიზიდა. ფართოდება რე-

პერტუარი, იხვეწება გემოვნება. იხრდება ინტერესები. შალვა მშველიძის თბილისში გამგზავრების შემდეგ, იწყება პირველი ნაბიჯები სალოტბარო ხელოვნების ასათვისებლად.

მაგრამ სოლომონ იაშვილის, როგორც მუსიკოსის, ბიოგრაფია უფრო ადრე იწყება. გიორგი (გოგუცა) იაშვილის (მამის) ოჯახი განთქმული იყო სურამში, როგორც მომღერალთა კერა. ახლობელნი, მეზობლები და მოაგარაკენი ხშირად მოუხიბლავს იაშვილების საოჯახო კონცერტებს, ისინი იშვიათი გემოვნებით ასრულებდნენ ქართულ სიმღერებსა და საგალობლებს. ამ ტრადიციებზე აღზრდილი სოლომონი სკოლაში სწავლის პერიოდშივე ამქდანებს სიმღერისადმი დიდ მისწრაფებას. აყალიბებს მომღერალთა კოლექტივს კლასის ამხანაგები-საგან და მონაწილეობს სასკოლო კონცერტებში, საშურის რკინიგზელთა კლუბში გამართულ საღამოებზე.

გადის წლები. ს. იაშვილს, როგორც გამოცდილ ლოტბარს, იწვევენ სხვადასხვა სამუშაოებზე. 1924-27 წ.წ. ხელმძღვანელობს სურამის ერთ-ერთი სკოლის მომღერალთა გუნდს. შემდეგ კი ამავე წლებში კომპოზიტორების შალვა მშველიძისა და გრიგოლ ჩხიკავას დახმარებით იგი ამთავრებს მუსიკალურ მასწავლებელს, ხოლო შემდეგ თბილისის კონსერვატორიას.

1936 წ. ს. იაშვილი ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგეა, მოღვაწეობს მელიტონ ბალანჩივაძის გვერდით, რომელიც ამ სასწავლებელს განაგებდა. შემდეგ იგი კვავ თბილისშია მუსიკალური სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგე. პარალელურად მოღვაწეობს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის საგუნდო კოლექტივებში. საქმისადმი კეთილსინდისიერი და მოკიდებულებით და ნაყოფიერი მუშაობით ადმინისტრაციის მადლობას იმსახურებს.

1934 წელს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის დაგვლებით ს. იაშვილი იგზავნება ერთ-ერთ ქართულ დივიზიონში მუსიკალური წრების ხელმძღვანელად, სადაც სიმღერის 120 კაციან ანსამბლს აყალიბებს. 1939 წ. იგი თბილი-



ლევ ბაიაზიევი

ქუჩა

სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა ნატურმორტიკმა როგორც აღინიშნა, უმრავლეს შემთხვევაში ეს იყო გაოგნებულად უარეტენიო, მაგრამ მხატვრული კულტურითა და გემოვნებით აღბეჭდილი ნატურმორტიკი, ქართული ყოფიასათვის დამახასიათებელი სახეებით. ავტორია მიერ სურათის საინტერესო მხატვრული გააზრება დასამახსოვრებელს ხდიდა ამ ნატურმორტიკებს. ამ ყანრის ნამუშევრებს შორის აღსანიშნავია ზ. ნიჟარაძის, რ. თორდისა, გ. მასურაძის, გ. თოძის, ვ. ნარმანის, ა. დილბარაიანის, ი. დივნიგორცევა-გრიგოლისა, ბ. სირბილიძის ნატურმორტიკი.

თუ უჩინავესა და ნატურმორტიკებს შორის „სამუშეოდგომო გამოფენაზე“ ასე თუ ისე მრავლად იყო საინტერესო მხატვრული ნაწარმოებები, პორტრეტულ განრში (როგორც ფერწერულ, ისე სკულპტურულ) ძალზე ცოტა გამოირჩეოდა. საერთოდაც გამოფენაზე პორტრეტს შედარებით უმნიშვნელო ადგილი ეჭირა. ფერწერაში —საქართველოს სახალხო მხატვრის ქეთევან მაღალაშვილის ორი ტილო (მანანა ქიქოძის, მედია ჯაბუას პორტრეტები.), ზ. ნიჟარაძის „ნანა ხატისკაცის პორტრეტი“; ქანდაკებაში — ბ. ცობაძის „სტუდენტი გოგონა“ და „მეფოლად ფახულაია“, ა. კეკელიძის „მელორის პორტრეტი“ — ძირითადად ეს ნაწარმოებები იაყრობდა ყურადღების მაღალი მხატვრული დონით, პორტრეტული დახასიათების სიმახვილოთ.

უდავოდ თვალსაჩინო მხატვრული ღირსებებით ხასიათდება ლ. ბაიაზიევის ნამუშევრები, როგორც პეიზაჟური ტილოები, ისე პორტრეტები. ფერის მაღალი კულტურა, კომპოზიციური ისტატობა, სახასიათის მახვილი შეგრძობება — ყოველივე ეს განაპირობებს ამ ტილოების გამომსახველობას. გვიხდა მხოლოდ ამოცანის თვალსაზრისით შევებით ქალების პორტრეტებს. წმინდა პორტრეტული ამოცანა მათში არ არის დასმული. ეს ნამუშევრები უფრო წუითიერი შთაბეჭდილების ასახვაა, წუითიერად დაჭერილი სახასიათის აღბეჭდვა და არა მისი ბოლომდე გახსნა — ე. ი. პორტრეტ-სურათთან მიახლოვება. ამიტომაც აქცენტი უფრო გადატანილია პლასტიკური ამოცანებზე, ფერწერულ გამომსახველობაზე. ამ თვალსაზრისით კი ავტორს უეჭველად აქვს წარმატებები, ამტკიცებს ფაქტზე გემოვნებას. თუმცა აქვე უნდა შევინიშნოთ, რომ კარგი კოლორისტული მიგებნა რამდენადმე განხორციელებულია ამ პორტრეტებში.

პორტრეტული ამოცანა ფერწერულთან უფრო შერწყმულია ზურაბ ნიჟარაძის „ნანა ხატისკაცის პორტრეტი“-. სახვითი საშუალებები — მსუფე მონამები, ტონების გაძლიერება, მკაფიო მოდელირება — ყოველივე ეს მიმართულია სახის არა მარტო ინდივიდუალური დახასიათების, არამედ ფერწერული გამომსახველობისთვისაც. ზურაბ ნიჟარაძისათვის საერთოდ ნიშანდობლივია პორტრეტული კომპოზიციის ღრმა გააზრება, რისთვისაც მხატვარი სახვით ხერხებს წარმართავს თავის მოდელის შინაგანი, ფსიქოლოგიური და ინტექტუალური დახასიათებისათვის. ფერადოვანი მონამების გაბედულ შერწყმაზე აგებული მისი ფერწერა მუდამ კოლორისტული სიცოფელოთ და თავისებური მკაფიო ჟღერადობით გამოირჩევა. „ნანა ხატისკაცის პორტრეტი“ კომპოზიციურად, ერთი შეხედვით, თითქმის ძალზე სადაა, მაგრამ საინტერესოდ აღებული ხედვის წერტილი ხაზს უსვამს დაფიქრებას, მოქმედ აზრის მოძრაობას გვაგრძნობინებს ახალგაზრდა ქალის გამოსახულებაში.

უფრო არა თავისი ზომით, არამედ პლასტიკური-სახვითი და კოლორისტული გადაწყვეტით გამოფენაზე ყურადღებას იქცევა თემურ გოცაძის ფერწერული ტილო „ლურჯა ცხენები“. თუ სხვა ექსპონატებიდან იგი ერთგვარად მკაფიოდ გამოიყოფოდა, ჩვენი აზრით, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ყოველ შემთხვევაში, ჩანაფიქრი, რომლის სორცმესხმა მოისურვა მხატვარმა, ამას თითქმის გარდუვალად ხდიდა. მიუხეზი გა-

ზურაბ რაზმაძე

ზამთარი




საგებია: ტილოს ავტორის განზრახვა იყო სახვითი ადგილები მოეგებნა ჩვენი ეპოქის დიდი პოეტის გალაკტიონის ერთერთი ადრინდელი ლექსისათვის, „ლურჯა ცხენები“, რომელიც ისევე, როგორც გალაკტიონის მრავალი ნაწარმოები, ხასიათდება ღრმა ექსპრესიით, იშვიათი მუსიკალობით, რიტმით, პოეტური სახეების განწყობილებით, თუმცა ლექსი როდია მოკლებული ერთგვარ სუბმურულობას რიტმულობისა და მუსიკალობის ხარჯზე. გალაკტიონის ლექსის თვით ეს მასშტაბურობა, ფართო სუბტექვა, ბუნებრივად, ასევე მასშტაბურ პლასტიკურ ხატს ითხოვდა, მასშტაბებს არა მხოლოდ თავისი ზომით, არამედ, სახვითი მიცულობით და კოლორისტული საშუალებებითაც. ამიტომ ვერ გავიზარებდით იმ აზრს, თითქმის ტილო მოიგებდა უფრო პატარა ზომით. ამ ტილოს გამომსახველობას და პოეტური ორიგინალის სულსისკვეთებასთან მიანლოვებას სწორედ მისი ზომა განაპირობებს უპირველესად. ზუსტად იგივე ტილო, დაპატარავებული, უცხად მიიღებდა კამერულ ხასიათს და ჩვეულებრივ დეკორატიულ მოტივად იქცეოდა. მაგრამ მხატვრის ამოცანა არ ყოფილა ვიწრო-დეკორატიული, მას აინტერესებდა მიეღწია იმ მღელვარე რიტმისათვის, დინამიკისა და შინაგანი პოეტური განწყობილებებისათვის, რაც გალაკტიონის ლექსში შეიგრძნო, აინტერესებდა ფერებში და ხაზებში გადმოეცა სტრიქონები:

როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრვინვა-გრიალით ქრინა ლურჯა ცხენები!

ცხადია, სხვა მხატვარი ამ სტრიქონებს ალბათ სხვაგვარად წარმოსახავდა, შეიძლება სხვაგვარად საინტერესოდაც, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ამაში როდია. სხვა საკითხია პროფესიულად როგორ ხარისხში აიყვანა იგი ტილოს ავტორმა. გოცაძეს ვერ შევედავებით, რომ მიმართავს რაიმე მანერულობას ან ზედმეტ სტილიზაციას, ცხენების ნახატი საკმაოდ რეალისტური და გამართულია, მათი ფიგურების ერთმანეთთან დაკავშირება რიტმული და ამავე დროს ექსპრესიული. კომპოზიცია საერთოდ შინაგანად მოწყობილია. ამრიგად, ტილოს ყველა მხატვრული კომპონენტი გამიზნულია პოეტური ორიგინალის სულსისკვეთების გადმოსაცემად, მისი მუსიკალობის, რიტმის პოეტური სახეების გადმოსაცემად. აქ არის ლურჯი ზღვის ტალღების ხეტიალიც, ჩამავალი მზეც და ლურჯა ცხენების ბობოქარი ქროლაც. სხვა საკითხია შევედავოთ მხატვარს თვით მისი პლასტიკური ამოცანის შერჩევაში ან ამ ამოცანის გადწყვეტის პრინციპში, მაგრამ როგორც იყო ამ შემთხვევაში მისი ჩანაფიქრი, სახვითი ნათელი მის მხატვრულ-პოეტური წარმოსახვაც. მხატვრის წინაშე დასმული ამოცანა აქ ბევრად უფრო ნათელი და გამოკვეთილია, ვიდრე ავტორის ადრინდელ ნამუშევრებში. საერთოდ იმ ტილოების მიხედვით, რომლითაც თემურ გოცაძე გაიცნო საზოგადოებამ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი შთაგონებით ეძებს. ამაზე მეტყველებს ის, რომ ფორმისეული ამოცანები მის ნამუშევრებში სრულიად სხვადასხვაგვარია. იმ მომენტზე უნდა მივუთითოთ, რომ ახალგაზრდა მხატვარი ჯერჯერობით რატომღაც უფრო სიმბოლისტურ-არქაულ მოტივებში ეძებს მხატვრული ამოცანებისთვის თემებს. ამას მოწმობდა მისი აქ წარმოდგენილი „არქეოლოგიური მოტივიც“, რომელშიც ავტორი კვლავ მეტად თავისებურ ჩანაფიქრს წარმოსახავს. გოცაძის პროფესიულ და შემოქმედებით შესაძლებლობებს მოწმობს მისი კოლორისტული ალღო, პლასტიკის, რიტმის გრძობა, მხატვრული აზროვნება. საჭიროა მხოლოდ მეტი გარკვეულობა და სიცხადე ამოცანების დასმისას, მეტი ზრუნვა იმაზე, რომ შინაარსი იყოს უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ღრმა, ხოლო მხატვრული ფორმა მხოლოდ შინაარსიდან გამომდინარე.

„სამომედოგომო გამოფენის“ ექსპონატების დიდი ნაწილი




ბეთან შევლიძე

ნარიალვა

ლეო ძაბამიძე

ტყვარჩელი





ბორის ციხობაძე

სტუდენტი გოგოლაძე

ჩვენი მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილეთ იმ ამოცანების შესახებ, სახარისით, რაც დასასული მქონდათ ავტორებს. ძირითადად შევიჩერდით ნამუშევრებზე, რომლებმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრეს გარკვეული მხატვრული ღირსებებით. ბევრის თქმა შეიძლება სხვა ნამუშევრებზეც — სწორედ ამ კუთხიდან — ამოცანების დასმისა და მხატვრობის ხარისხის გარკვევის პოზიციიდან. ამ თვალსაზრისით კი შეიძლება გველაპარაკა სადავოს შესახებ, ვიწრო ამოცანებისა თუ საშუალო ღონის, პროფესიონალიზმისა და ანტიმხატვრობის შესახებ, ვინაიდან თვით ამ გამოფენის ნიმუშები, ისევე როგორც ადრინდელი გამოფენებისა, იძლევა მათას ამგვარი მსჯელობისათვის. მითუმეტეს, რომ ზოგჯერ პროფესიონალიზმაც და უბრალო მაყურებლებიც, ვფიქრობთ, მცდარად აფასებენ ამა თუ იმ ნაწარმოებს. მცდარი შეფასება კი ძირითადად იქიდან მომდინარეობს, რომ გამოფენებზე ხანდახან ხვდებით ნამუშევრებსაც, რომლებიც ხელოვნების კატეგორიას საერთოდ არ უხდა იყოს მიკეთვებული. როცა მოხერხებულად „ორიგინალურ“ ფორმას მხატვრული და პროფესიული უსუსურობა აფარებს თავს და ექსპოზიციამ ადვილს იტყოს, როგორც ხელოვნების ქმნილება, როცა ასე ვთქვათ „ნოვატორული“, სინამდვილეში ძალზე საშუალო მხატვრული ღონის ნაწარმოები დაუსაზურებელ მაღალ შეფასებას იძებს, ეს იწვევს მაყურებლების დეზორიენტირებას, დაიფხვას, რაც მთავაია, ეს იწვევს ახალაზრდა შემოქმედთა დეზორიენტირებასაც, უბიძგებს მათ ვიწრო და ოთხი სახვითი ამოცანებისაკენ, იმიტომ, რომ ფაქტიურად არაფერი თქვა და უცხაური პოზით გაგვაკვიროს, ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე გაცუხებდეს რაღაც ხშირხელეობაში სათქმელი და ექვიდე მისი გამომხატვის საშუალებებს.

ამგვარი მდგომარეობა შემოქმედებისადმი მხატვართა ყურადღებას ამოიწვევს სტატუსის დაუფლებისათვის ბრძოლას, მიხარისიდან გამომდინარე ფორთხათვის ზოუნვას. ეს გზა კი ერთადერთი გზაა მაღალი ხელოვნებისაკენ, რომელიც გულისხმობს ღრმა შინაარსს, იდეურობას, ეროვნულობას, ჭედათობს მშვენიერებას.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ხშირად ვლაპარაკობთ ძიებებზე და არა მარტო სახვითი ხელოვნების სფეროში, არამედ საერთოდ ხელოვნების ყველა დარგში. მართლაც, შემოქმედთა მხრიდან ამჟამად რამდენად უფრო გამაზვიებულა ყურადღება გამომხატვის საშუალებებისადმი, ვიდრე ვთქვამთ ამ ორი ათეული წლის წინათ, როცა სახვითი ხელოვნებაში ერთგვარად დამკვიდრებული იყო ეტალონი, მხატვრები საოცრად ემსახურებოდნენ ერთმანეთს იმიტომ, რომ მათს პირველად მიზანს არ შეადგენდა მოენახათ ახალი სახვითი ხერხები ჩანაფიქრთა ხორცშესახსნელად. ვიწროდ იყო გაგებული თვით რეალიზმის მცნებაც. თუ ახლა ხშირად ვლაპარაკობთ მხატვართა, განსაკუთრებით ახალაზრდა მხატვართა ძიებებზე, აქ უნდა ვიგულისხმობთ ამ ძიებთა ორი მხარე — ერთი ეს თვით მხატვრული ინდივიდუალობის ძიება, მეორე — ძიება ახალი, გამომსახველი პლასტიკური საშუალებების ხსნით, ყოველი ცალკეული მხატვრული ამოცანის გადასატყდალად. თუ მხატვრული ინდივიდუალობა ყოველი ნიჭიერი შემოქმედის პროფესიულ სიმწიფესთან ერთად ყალიბდება და გამოვლინის პოულობის მხატვრული ინდივიდუალობის ხედვასა და ხელწერაში, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივ სტილისტურ ელფერში, ყოველი ცალკეული ჩანაფიქრი, ასევე კერძო სახვითი ამოცანების კომპლექსს უკავს ავტორის წინაშე. მაგრამ ვეღვაფერი ეს ახალი არ არის და ისტორიულად, ჯერ კიდევ შორეული წარსულიდან მოდის ასე. ამდენად, რჩება ტრადიციები, იხადება ახალი და ახალი ნოვატორული, მაგრამ ნოვატორული თავისთავად არ იქნება ნოვატორული, თუკი იგი ნაწარმოების მხატვრობას არ განსაზღვრავს ხარისხობრივად ე. ი. მხატვართა ძიებები ახლის სფეროში უნდა შეფასდეს მხოლოდ ამ კუთხიდან. ნოვატორული საბჭოთა ხელოვნებაში — ეს არის ახალი შინაარსის

რადიმ თორღია

ნატურმორტი



გამხსნელი ახალი ფორმა. იდეური შინაარსის სიღრმემ და სიახლემ უნდა განსაზღვროს ფორმის გამომსახველობა და ახლებურობაც. ამაშია საბჭოთა მხატვრების ძიებების მიმართულებაც — ძიებები ფერის, ხაზის, თუ განსზღავრებული მოცულობების სფეროში. ამაში უნდა იხატებოდეს ყოველი შემოქმედის კანონზომიერი სწრაფვა. მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. ბუნდოვანება და გაურკვეველობა არა მარტო თვით მხატვრების შემოქმედებით პრაქტიკაში იჩენს თავს, არამედ ხელოვნების შემფასებელთა პოზიციაშიც. გარდა იმისა, რომ ნაწარმოებზე მსჯავრის გამოტანისას ჩვენ ხშირად უპრინციპობივ ვართ, თვით შემოქმედების, ძიების, მხატვრობის შეფასების საქმეში დიდი ბუნდოვანება სუფევს. აქედან იბადება მცდარი შეხედულებები თვით ხელოვნების რაობაზე, აქედან მომდინარეობს ისიც, რომ გამოფენებზე ზოგჯერ ექსპონირებულია ნაშუშევრები, რომლებშიც საერთოდ არაფერი არ არის მხატვრული (და თუ მხატვრული არ არის, ე. ი. იგი არც ხელოვნება ყოფილა). ფერის, კოლორიტის, ხაზის თუ ლაქის გამომსახველობისადმი მიმართული მხატვართა ძიებები მიჩნეულია რაღაც ახალ მოვლენად, მაგრამ შედეგი ამისა როდია სათანადოდ გაანალიზებული, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება შინაარსისა და ფორმის ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთგანპირობების საკითხს, თვით ამოცანის სიღრმესა და სირთულეს. ამიტომ ხდება, რომ ნაწარმოებების შეფასება იქნეს ზერელე ხასიათს, ისევე როგორც ხანდახან სინამდვილეში ზერელეა მხატვრის წინაშე დასმული ამოცანა, მაგრამ იგი მიჩნეულია ნაყოფიერ ძიებად. ყოველი ახალი, ექნება ეს მოჩვენებითად ახალი თუ მართლაც სიახლის შეცვლელი, ძალიან სშრად დადებით გამოძახილს პოულობს, მიუხედავად იმისა, რომ თუ დააკვირდები საქვეთა ნაწარმოების მხატვრობის დონე. ამავე დროს გარკვევით ირონიული დამოკიდებულება ტრადიციულისადმი, ე. ი. ისეთი ფორმისადმი, რომელშიც, ჩვეულებრივ, პრინციპულად ახალი თითქოს არაფერია. მაგრამ, უფიქრობთ, თავისთავად, საქმე არც ტრადიციულშია, არც ნოვატორულში, საქმე ჩანაფიქრშია და ამ ჩანაფიქრის გამოხატვის მხატვრობის ხარისხში, ოსტატობაში, ჭეშმარიტ პროფესიონალიზმში, რამაც უნდა განსაზღვროს ნაწარმოების გამომსახველობა და შთამბეჭდავობა.



ქეთევან მალალაშვილი

მედეა ჯაბუას პორტრეტი



ლეო ხოჯელანი

სალიმოს სტუმრები





ჭედურობა

გამოფენაზე

რუსუდან ყენია



ითონის მხატვრული დამუშავების ნიმუშებმა დიდი ხანია გარკვეული ადგილი დაიკავა გამოფენაზე. ეს მეტად სასიხარულო და მისასალმებელია. ქართული ოქრომჭედობა ხომ იმთავითვე იყო ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელმაც განვითარების მაღალ დონეს მიაღწია და საყოველთაოდ ცნობილი იქნა საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

მისასალმებელია, რომ დღეს ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ნიჭირმა ახალგაზრდა მოქანდაკეებმა. პირველი ნაბიჯები ამ მხრივ მოქანდაკე ირაკლი ოჩიაურმა გადადგა, მას მიჰყვა გურამ გაბაშვილი, ხოლო შემდეგში მათ გვერდში ამოუდგნენ

სხვა პროფესიონალი მოქანდაკეებიც. ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ ქართული ჭედური ხელოვნება მხატვრული შემოქმედების დიდ სიმაღლეზე აღის, იგი თანდათან იკავებს მნიშვნელოვან ადგილს ქართულ მხატვრულ კულტურაში — საბჭოთა გამოყენებით დეკორატიულ ხელოვნებაში.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის პირველი ნაბიჯები, რომელიც საფუძვლად დაედო ჭედური ხელოვნების განვითარების საქმეს. ეს იყო ირ. იჩიაურის მიერ შესრულებული იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი — ბარელიეფი, შემდეგ მას მიჰყვა მისივე და გ. გაბაშვილის ჭედურობანი — სამკაულები. ეს სამკაულები სწრაფად გავრცელდა ხალხში. ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ იგი მოდად იქცა, საზოგადოება მოწუწურებული იყო თავის, ეროვნულ ვერცხლის სამკაულებს. ამას ბიძგი მისცა იმ გარემოებამაც, რომ ბოლო დროს თბილისში ფართოდ გავრცელდა ბალტიისპირეთის სამკაულები. დაიბადა სურვილი საკუთარი, ეროვნული ორნამენტითა და გამოსახულებებით შესრულებული ვერცხლის სამკაულების შექმნისა.

ი. ოჩიაური და გ. გაბაშვილი როდი შეჩერდნენ ამ მცირე ზომის სამკაულების შექმნაზე. მათ თავიანთ შემოქმედებით ჩანაფიქრს უფრო ფართო მასშტაბი მისცეს, პირველებმა შექმნეს დიდი ზომის კომპოზიციებიც. ახალგაზრდობამ, რომელიც გვერდში ამოუდგა მათ, სერიოზულად მოჰკიდა ხელი ხელოვნების ამ დარგის განვითარებას.

დღითიდღე იზრდება რიცხვი ლითონზე მომუშავე მხატვრობისა. დღესაც გამოფენაზე დ. ყიფშიძის, თ. დვედარიანის, ნ. შვეგულიძისა და ს. ქოიავას გვერდით გვხვდებოდა ამ დარგში დამწყები მხატვრებიც — ი. ლევაია, ა. ბასიშვილი,

ა. ჟორდანია. ახალი და ახალი ამოცანები ისახება ლითონზე მომუშავე მხატვრების წინაშე.

როგორც ვასული წლების, ისე ბოლოდროინდელ „სამემოდრო“ გამოფენაზე ექსპონირებულმა ნამუშევრებმა ცხად-ლიკა, რომ სულ უფრო და უფრო ძლიერდება ინტერესი თემატიკური, მრავალფეროვანი კომპოზიციებისადმი, რომელიც ძირითადად დეკორატიულია და გააზრებული. ამის შედეგად თანამედროვე ინტერიერებში გარკვეულ ადგილს იკავებს ჭედურით შესრულებული დეკორატიული პანოები და სხვადასხვა სახის დეკორატიული ნივთები (ქორწინების სახლი, სასაუზმე, ახალი სასტუმროები და სხვ.)

თუ წარსულში, როგორც აღინიშნა, გამოფენებზე ეხედებოდათ მხოლოდ სამკაულებს, ბოლო ხანს ვიხილეთ უკვე დიდი შოშის, დეკორატიულია და მუშავეული კომპოზიციების ნიმუშები — გავიხსენოთ ი. თრაქისის, „სამაზის“, გ. გაბაშვილის, დ. ყიფშიძის, კ. გურულის, ნ. შავგულიძის და სხვათა ნამუშევრები. ამ დეკორატიული პანოების თემატიკა მრავალფეროვანია — ისტორიული, მაგრამ უფრო მეტად ხალხური — სოფლის ცხოვრების, ნადირობისა და შრომის სცენები. განსაკუთრებული ინტერესი ჩანს პორტრეტისადმიც. ხშირად ეხედებოთ ზვესური ქალის გამოსახულებას (გ. გაბაშვილის მითლი სურია), ე. ი. პართული ხალხური ტიპაჟის გადმოცემითაც არიან მხატვრები დაინტერესებულნი.

დეკორატიული ხასიათის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი 1965 წლის სამემოდროში გამოფენაზეც. მათში უკეთაა მოქმენილი ნამუშევრების ზომა, შესატყვისება მათ დეკორატიულ დანიშნულებას. ზოგიერთი ნამუშევრის კომპოზიციური აღბრუნა თავიდანვე ითვალისწინებს იმას, რომ პანო გამოხუნალია, როგორც დეკორატიული აქცენტს თანამედროველ-ცხოვრებელი ინტერიერისათვის. ბევრი ნამუშევარი შესრულებულია დიდი მონდობით, იგრძნობა ხელოვნების ამ დარგის განსაკუთრებული სიყვარული.

„სამემოდროში გამოფენის“ ნიმუშებზე მსჯელობისას ჩვენ გვინდა შევეხებოთ ჭედური ხელოვნებისათვის სპეციფიკურ შემქმნელთა-ტექნიკურ საკითხებს, იმ ზოგიერთ ნაკლოვანებას, რაც გამოხედავდა უკანასკნელი წლების გამოფენებზე ექსპონირებულ ნამუშევრებში.

თუ მხატვრული გადაწყვეტის, ნაწარმოების შინაარსის გახსნის მხრივ გარკვეული მიღწევები აღინიშნება (თუმცა აქაც არის ჯერ კიდევ ბევრი რა სადაო, რაზეც გზადავსა შეგერნდება), მათი ტექნიკური შესრულების მხრივ, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მოქმედლობის ტექნიკური მხარე თვით ჭედური ხელოვნების სპეციფიკიდან გამომდინარე ის ძირითადი საკითხია, რომელიც დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს და მნიშვნელოვანია ნაწარმოების მხატვრული სრულყოფის თვალსაზრისითაც. მავალითად კომპოზიციებში ყოველთვის არ არის გამოყოფილი მთავარი და მეორეხარისისოვანი დეტალები, ერთნაირი სიძლიერით და ხშირად ერთი და იგივე რელიეფითა და მუშავეული ფონი და მთავარი ფიგურა. არ არის ხაზის მკაფიო და სიმკვეთრე კონტურების მოხაზვის დროს, ხაზები ხშირ შემთხვევაში გადალესილია, რაც მხატვრულ ნაწარმოებს აღქმის მთლიანობას უკარგავს.

მავალითად, თ. დედგარინის კომპოზიციურად კარგად

გადაწყვეტილ ნამუშევარში „სიმღერა“ დიდი მხატვრული გამოხატობითაა განაწილებული საგნები და გამოსახულებები ზედაპირზე. მიცემულია სახლის ინტერიერი, მაგრამ კუთხეში ბუხარი, მის თავზე და მარჯვნივ — თაროზე ჩამწკრივებული ჭურჭლები, ბუხრის გვერდით ჩაფიქრებული, სტენდე ქვეყნული ქალის გამოსახულება. მარჯვნივ კუთხეში ახალგაზრდა ვაჟი სალამურზე უკრავს. ინტერიერი, ლიტიკური განწყობილება შექმნილი. გასაგებია და მისაწვდომი მხატვრის ჩანაფიქრი, მაგრამ მხედველობისათვის ძნელად აღსაქმელი. ზედმეტად დაწავერებულ და მკვეთრად დამუშავებულ ფონს ერთგვარი დისონანსი შეაქვს, ფონი და გამოსახულება ერთმანეთშია შერწყმული, რაც ასუსტებს ნაწარმოების მხატვრულ აღქმას. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ერთნაირი რელიეფითა და მუშავეული მთლიანად დადანიანის ფიგურა. არ იგრძნობა სხეულის ცალკეული ნაწილების მოდელირება. ეს უფრო ნათელი გახდება თუ შევადარებთ ამ ნამუშევარს მისივე ახალგაზრდა ქალის პორტრეტის ფონის დამუშავებას, სადაც შესუბნეულია ეს სიმკვეთრე და შედარებით ნაკლებადცაა დაწავერებული. ქალის გამოსახულებაც ამ შემთხვევაში გაცილებით უკეთ იკითხება.

ეს იმიტომ ხდება, რომ აქ ისევე, როგორ სხვა ნამუშევრებშიც, ტექნიკური დამუშავების ერთგვარგნება აღინიშნება, მაშინ როდესაც ჭედურის ტექნიკა იძლევა დამუშავების მიმდინარე და მრავალფეროვან შესაძლებლობას, რისი საუკეთესო მაგალითებია შუასაუკუნეების ჭედური ხელოვნება.

როცა ისტატები გამოსახულებას განსვადებულ ფორმებში იძლევიან, სამისოდ საკმარისი როდია მხოლოდ ზურგიდან ძირითადი, ერთნაირი რელიეფის გამოყენება. ზემოდან მისი დამუშავება კი არ გადატვირთავს და დაწავერებდა მას, პირიქით, ფორმა შეიძინდა სიმკვეთრე, გამოიყოფა სხეულის თვითეული ნაწილი, მთავარი მეორეხარისისოვანისაგან, რითაც მხატვრულად უფრო სრულყოფილ ნაწარმოებს მივიღებდით. თიფურის ყველან, და განსაკუთრებით ა. ჟორდანის (ირემი) და ა. ბასიშვილის (გაზაფხული) ნამუშევრებში, ფორმები დატყვევებულია, გამოსახულებას დაკარგული აქვს მკაფიობა. ეს კი ნამუშევარს შტამპის შთაბეჭდილებას უქმნის. შტამპის — ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით, ხოლო ერთგვარგან — მხატვრული შთაბეჭდილების მხრივ. ამ მხრივ ბევრად იგებს დ. ყიფშიძის მიერ შესრულებული ქალის თავი. შეიძლება არ დავიანახოთ მხატვარს იმაში, თუ როგორ და რა ადგილას ჰკვეთს იგი სახეს, როგორ ამუშავებს თმს, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ მოქანდაკის მიერ კარგავდა მოდელირებული სახის ნაკვეთი. მეტნაკლები რელიეფითა და მუშავეული სახე შექმნილია შთაბეჭდილებას ქმნის და ცხოველსატულ იერს აძლევს სახეს. კარგადაა გააზრებული ფონიც, ურიეთოდამოყოფილებულია ფონსა და გამოსახულებას შორის. გამოსახულებას დაკარგულია ხეზე, ხის ღრმა, სადა ტონი მკვეთრად გამოყოფს რელიეფურ გამოსახულებას, თვალნათლივ იგრძნობა აქცენტობა მთავარზე და მისი გამოყოფა მეორეხარისისოვანისაგან. გარკვეულ დეკორატიულ ეფექტს იძლევა ისიც, რომ მხატვარი უყურადღებოდ არ ტოვებს და თავისებურად წყვეტს ნაწარმოების მონარჩობასაც. ლითონი ხეზეა დაკარგული მარჯვნივ, ხოლო მარ-

ცნენ დატოვებულ, ცარიელ ხის ნაწილზე აქცენტების სახითაა ჩართული ლითონის ნაწილები — სამკუთხედი ლითონის ზო-
ლიანი და ზემოთ სამი გამოყოფილი წერტილებით. ეს ერთგვა-
რად ჰკრავს კომპოზიციას და დასრულებულ სახეს აძლევს
მას.

მხატვარს სხვადასხვაგვარად შეუძლია გადაწყვიტოს კომ-
პოზიციის შეკვრივ ამოცანა, თუნდაც ისე თავისებურად, რო-
გორც ეს დ. ყიფშიძეს აქვს, ანდა ისე, როგორც ი. ჭიაფავს
(„ნადირობის სენა“). აქ თვით ნივთის ფორმითაა იგი გა-
დაწყვეტილი. მხატვარს კომპოზიცია ფორმის საშუალებით იღებს და-
სრულებულ სახეს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მხატ-
ვარს კომპოზიციურადაც კარგად აქვს გააზრებული ეს ნამუ-
შევარი, რაც მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

ჩვენი აზრით, მხატვრები ზედმეტად არიან გატაცებულნი
ლითონის გამუქებით. თუმცა ლითონის სხვადასხვა ტონის და-
პირისპირებით (რის საშუალებასაც თვითონ ლითონი იძლე-
ვა) მხატვარმა შეიძლება ჩამოიწიოს დიდი მხატვრულ, ცხო-
ველბატულ ეფექტს. ზედმეტად ჩამუქებისას ზოგჯერ ძნელია
კომპოზიციის გარჩევა. მაგალითად, ი. ლეტავას ნამუშევარში
„ხაპით ღვინის ამოღება“ მეტად გართულებულია კომპოზი-
ციის ამოკითხვა. ერთნაირადაა ჩამუქებული ფონიც, ვაზის
ფოთლებიც და თვით მამაკაცის ფიგურა, რომელსაც ხაპი უჭი-
რავს ხელში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ფიგურა რამ-
დენადმე მანერულია.

ზოგ შემთხვევაში, მაგალითად ი. ჭიაფავს ნამუშევარში
„სვანი მონადირე“ ცალკეული გამოსახულება გამოიყოფა
არა მოცულობითი ფორმებით, არა სხვადასხვა მოცულობათა
დაპირისპირებით, არამედ იმით, რომ აქ სხვადასხვა ტონისა
მოცემული ჯიხვის გამოსახულება და სვანის ფიგურა, რომე-
ლიც დაპირისპირებულია ჩამუქებულ ფონთან. ფერთა სხვაო-
ბით იქმნება რამდენიმე პლანი და გარკვეული ეფექტიცაა
ამით მიღწეული. აქ ერთგვარად დაყენებულია ფერთა დაპი-
რისპირების პრობლემა.

ჩვენმა ლითონზე მომუშავე მხატვრებმა მეტი ყურადღება
უნდა დაუთმონ თვით ლითონის სპეციფიკის, მისი ბუნების
ამოვლენის საკითხს. დღეს, მაგალითად გამოფენილ ნამუშევ-
რებში მასალა ისეთი სიმკვეთრით არ შეიგრძნობა, როგორც
ეს საჭიროა. მაგალითად, თამარში შესრულებული ბარე-
ლიეფები და მიეღი რიგი ლითონის მხატვრულად დამუშავე-
ბის ნიმუშები მსგავსადაა შესრულებული. ლითონის სპეციფი-
კის გათვალისწინებით მხატვრები შესძლებენ გამოიყენონ
ყოველთვის, რაც ეს ლითონის მხატვრულად დამუშავების შე-
საძლებლობას იძლევა.

ლითონის მხატვრული და ტექნიკური დამუშავების მდი-
დარ და მრავალფეროვან მაგალითებს იძლევა შუასაუკუნეების
ქართული ჭედური ხელოვნება. ჩვენი მოვალეობაა განავითა-
როთ ამ დარგის ტექნიკური მიღწევებიც.

ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშები ჩვენს ყოფაში
სულ უფრო და უფრო იჭერენ საბატიო ადგილს, ისეთს, რო-
გორც დღელსათვის უკვე დამიკვიდრა ქართულმა კერამიკამ.

ბიოგრაფიული

საქართველოს სახალხო პოეტი

თამარ დედა

ხეხილის შტო მსმნობარობს,
ვაზი შვეის შესახედად
ცოტანი ვართ ქართველები,
გავგმირავლე, თამარ დედა!

ყვავილები მიწას სწოვენ,
ჩვენ გვზრდის შენი მადლის რძენი,
რაც სახელი გმირთა ვაჟოვ,
იყენენ შენი ძუძუს ძენი...

ზოგა სძინავს მარბადაში,
და ქერში წვეს ზოგი მიწად,
არ ყოფილან არადანში,
ყველა ნაღდად გადიიწვა!

ხალხის გულის ასაძვერი,
ჩვენ ბევრი გვაქვს დასაწერი,
ჩვენ ბევრი გვაქვს ასაგები
შენობანი, სართულები,
გასათხრელი რუსმსულები,
დასაკიდი ნათურები.

ჩვენ ბევრი გვაქვს დასარგველი
ვაზი, ვარდი, ზედი-ზედა,
ჩვენ ბევრი გვაქვს გასაბრენი
მომავლის დასახედად,
ოაკეხმარე.
მოვეშველე,
გავგმირავლე, თამარ დედა!


შენი კაბის ნათელი მწვავს,
შენი ღიმი მემეღა
მკერდს მიყრდნობილ ყრმით რომ
გუბდავ,
რა მიყვარხარ, თამარ დედა!

უმუჩსო და უნაზესო,
თაყვე გაღვა ნათლის შუქი.
შენ ხომ სავსე ვერაზი ხარ,
დასმულ მტკვნის სიჭაბუკით.

შენ ხომ, დოო და დედაო,
გაჭირვებას ჩვენსას ქსედავ,
ცოტანი ვართ ქართველები,
გავვიმართლე, თამარ დედა!

ღაენლოსილი

ბიბლიოთეკარი



თამარ მაკავარიანი

ბატარა დარბაზში გადახდილი დიდი იუბილე — ასე მოხდენილად შეიკვასა ერთ-ერთმა ორატორმა საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის თამარ მაკავარიანის საიუბილეო საღამო, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ გაიმართა ე. შარქის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური საქარო ბიბლიოთეკის საკუთო დარბაზში.

წიგნის დიდი მეგობრის თამარ მაკავარიანის დაბადების 70 წლის თავის აღსანიშნავად აქ თავი მოიყარეს არა მარტო მშობლიური ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა, არამედ ჩვენი კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, რათა თავიანთი მადლიერების გრძნობა გამოეთქვათ სახელოვანი იუბილარისათვის. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ პროფესორები რუსუდან ნიკოლაძე, ვ. ბერიძე, ვლ. ზამბახიძე, აკ. გავრულია, ი. მეგრელიძე, დ. გამეზარდაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები კ. კანდელიძე და ოთ. ევაძე, მწერალი რ. ქორქია, დოცენტები ნ. ლორთქიფანიძე და ი. მაისუაძე, ახალგაზრდობის სახელით ფ. ჭაფარიძე, შემდეგ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები... თამარ მაკავარიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ შინაარსიანი მოხსენება გააკეთა საქარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ ალექსანდრა კავასიძემ.

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც თამარ მაკავარიანი დაუღალავად ემსახურება ჩვენი ხალხის კულტურისა და განათლების საქმეს. იგი ჯერ კიდევ 17 წლის გოგონა იყო, როცა 1912 წ. დიფუყო პედაგოგიური მოღვაწეობა, 1931 წლიდან კი იგი აღდგენილ ჩვეული ენერგიულობითა და სიუყვარულთო მუშაობის სახელმწიფო საქარო ბიბლიოთეკაში. უოველდღეურ პრაქტიკულ მუშაობას თამარ მაკავარიანი შესწინაშეაღ უფიქრად დუნიამენბაღური ნაშრომისა ქართული ჰეროდოლის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის დარგში. მისი ავტორობით, თანავეტორობითა და რედაქტორობით გამოცემულია მრავალი ნაშრომი, სძიებული, სავეტორო ტაბულა. დამზავებული ჰქვს ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის უმდიდრესი არქივი და სხვ.

ღვანულმოსილი ბიბლიოთეკარი კვლავაც ენერგიულად ემსახურება საყვარელ საქმეს და ჩვენი ხანგრძლივ სიცოცხლესა და ბედნიერ ცხოვრებას ვუსურვებთ მას.

საიუბილეო საღამო მიძღვნილი საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის თამარ მაკავარიანის დაბადების 70 წლისთავისადმი





ჩვენთან სტუკარდ პრის ქარნალი

საქრებულო

მშვიდად როდი გამოუთქვამთ გევი იმის გამო, არის თუ არა საჭირო დღეს, ჩვენს სინამდვილეში, ქალთა ჟურნალი. ზოგს როგორღაც ეხამუშება ამ ჟურნალის არსებობა და საერთოდ, მამაკაცთაგან განსხვავებით ქალთა რაიმე საკითხის გამოყოფა, მის ირგვლივ სჯა-ბაასი.

რა ამოცანები აქვს „საქართველოს ქალს“, რაში გამოიხატება ამ ამოცანათა სპეციფიკა, ან როგორ გვესახება ჟურნალის საქმიანობის შემდგომი გზები?

ჩვენს ჟურნალში იბეჭდება მითხრობები და ლექსები — ორიენტირებული თუ ნათარგმნი, ნარკვევები და წირობები ხელოვნების საკითხებსა და სხვადასხვა დარგის მუშაკებზე, ქვეყნდება გამოჩენილ ქართველ თუ უცხოელ მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციები, შუქდება მათი შემოქმედებითი ბიოგრაფიები, ვაცნობთ მკითხველებს ძველი ქართული კულტურის უნიკალურ ნიმუშებს.

რედაქცია გულისხმობს ვეიდება ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენისა და ზრდის საქმეს. მაგალითად, ნიჭიერი მხატვრის ბელა ბერძენიშვილის ნამუშევრები პირველად ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდა. სათაური — „ნელი სალა-მურები“ ვაქვეყნებთ ახალგაზრდა პოეტთა პირველ ლექსებს და სხვ. ასევე დიდი ყურადღება ექცევა სამეცნიერო პრობლემებს და მის დარგში მომუშავე ადამიანთა ცხოვრებას, მორალური და ფიზიკური აღზრდის საკითხებს...

ახალგაზრდა დედები და დიასახლისები ჟურნალის ყოველ ნომერში შეხვებიან საყვარელისტა რჩევას ბავშვთა

წოლვა-აღზრდისა და სხვადასხვა საოჯახო საქმიანობის ირგვლივ. ამავე დროს „საქართველოს ქალი“ მოწოდებულია იყოს ჩვენი რესპუბლიკის ქალთა — მათი გმირული ბრძოლებისა თუ შრომითი საქმიანობის მემბტანე.

ასეთია მოკლედ ჩვენი ჟურნალის ტრადიცია. ჩვენი ვალია კიდევ მეტად განვამტკიცოთ იგი.

წელს ქართველი ხალხი, მივიღ პიროგრესული კაცობრიობა 800 წლის იუბილეს უხდის დიდ რუსთაველს, მომავლისათვის კი ორი დღისშესანიშნავი თარიღი მოგვევლის: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისა და ოქტომბრის რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ვეცდებით დირსეულად შევხვდეთ ამ თარიღებს.

ჩვენი ერის უძველესი, მაღალი კულტურა, დიდიდი თანამედროვეობა და ქართველი ქალის საპატიო სახელი გვაკავლებს ახალ-ახალი ამოცანები დავსახთო ჟურნალის შემდგომი ზრდისათვის, ვიბრძოლოთ ჩვენი მკითხველის ზნობრივი ამაღლების, ცოდნის გაღრმავებისა და გემოვნების დახვეწისათვის. ჟურნალში მტერი ადგილი უნდა დაეთმოს იმ რთული პროცესების ასახვას, რომელიც მიმდინარეობს დღეს მსოფლიო მეცნიერების, ტექნიკისა და პოლიტიკის სფეროებში. განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება აღმზრდელის ბრძოლებს. უნდა გადაინახოს და გაჯანსაღდეს ზოგჯერ სიმძინჯეში გადაზრდილი, ოდესღაც შესანიშნავი ტრადიციები, განმტკიცდეს ახალი და პიროგრესული. უნდა გაბიძერდეს კონტაქტი უცხოეთის გამოჩენილ მოღვაწე ქალებთან,

ამ დღეებში მკითხველი მიიღებს ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ახალ, მესამე ნომერს. იგი დამაზადა გაფორმებული (მხატვარი დეიანოა შენგელია) და მრავალსაინტერესო მასალა შენგელია.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატს — თამარ ლევანას ეძღვნება ვ. ლაიბის წერილი „ილბი თბილისზე ფიქრში“, რომლითაც ჟურნალის ეს ნომერი იხსენიება.

„თავისი საუვარდო თბილისისათვის მან გააკეთა ძალიან ბევრი, მრავალი წელი მოამზარა ქალაქს, რომელსაც ეთაყუანება... ხანგრძლივი და ნაყოფიერი სწავლავლობრივი მუშაობისათვის, დაბადების სამოქმედო დაჯავშნებით, პერსონალური პენსიონერი თამარ ლევანა წელს დაქოლდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო უსმელოთ“ — ნათქვამია სტატიაში.

ქარნალი აქვეყნებს მწერალი ქალის ნინო ბუჯარაშვილის მოთხრობას „წერილი“, მერა ბეჭდის ლექსებს — „შენც აქ მოგაყვება“, „სიმშობის სიყვარული“ და „იშეთა“.

საინტერესო ფოტოსახსილო არის წარმოდგენილი ო. რევაას ნარკვევა „სოფლისხელსაწილის“ მარკოვი, რომელიც მოგვითხრობს ინჟინერი ქალის ორსე ვახიშვილის,

ტექნოლოგის — მემდა შანგუასა და ბრიკადის თამარ ოტარას შრომით წარმატებებს.

თანამედროვე ფრანგმა მწერალმა ქალმა, კომუნისტმა მარტინა მონომ საწერლო მოღვაწეობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. საბჭოთა მკითხველმა მისი შემოქმედება უკანასკნელ წლებში გამოცემული წიგნებით გაიცნო. ესენია: „დელიფლის ვისკი“ (1958), „ღრუბელი“ (1958 წ.), „ნორმანია-ენანა“ (1962 წ.).

ამ ნაწარმოებების გიბრძი, ე. წ. მაღალი სამოჯალოებიდან გამოსული ადამიანები, მხსნილობენ საკუთარი, არისტოკრატიული წლის წინააღმდეგ და ატბორის სიმათიებიც მოთიანდა სოციალური უკუღმართობით ჩაგრულ ადამიანთა მხარეზე. — ასე აცნობს უფროსი თავის მკითხველებს ფრანგ მწერალი ქალს და აქვე თავსებს მის მოთხრობას „რაიკერი-რუედა და ბრუნებისა“, რომელიც ფრანგულიდან ზეინაბ ბირკიამ თარგმნა.

თბილისის მე-2 საფოსტო განყოფილების თანამშრომლის ნადია ბელუცკასია ყოველდღიურ საინტერესო შრომებზე მოგვითხრობს ნარკვევა „მინე ჩანოა“, რომელიც მოგვითხრობს მისი წინ. ჩვენი ყურადღება ხელმეგობის მუშაეთა სახლში გაეცნო საქარ-

თველოს სახალხო მხატვრის ელინე ახალედინის სურათების ციკლს „თბილისი“. ჟურნალში დაბეჭდილი ელინე ახალედინის შემოქმედებითი პორტრეტი ლეო რჩეულიშვილს ეკუთვნის.ელინე ახალედინის ხელმეგობა ყველას ხიბლავს. მისი სურათების გამოგება ყოველთვის სიხარულის მომავრეობაა.იცი არ მოხიბულა იმის კიდევ დაციდებულ სახლთა ცხოვრებატულობით, ხევე შემწარევებულთა რიტულობით ან ნაროჯალს ციხის კედლების ხანძრობებულ კოლორიტულობით. რომელ მხატვარი არ შთაბრძნავთ ძველი თბილისური აოგების თაღ-სვეტნარის ხაზთა დინება. ძველ თბილისს ხატავდენ ძველად და ხატავდენ ახლაც — შინაური თუ სტუდარადონის მხატვრები. მაგრამ ელინე ახალედინის ძველ თბილისს აქვს თავისი განოიხრობული სახე, ახლდინისებური მარინოი შევავებული გემო. ისევე, როგორც ე. დელიაშვილმა ძველი თბილისს საბარო-დელთა ბოგნა ხელფაქების საბარეყო ასევე ელინეც ძველი არქიტექტურულ სურათებს ტილოზე ფერით მოქარა. მისი ფერებზე გადამწერდა მოგვცა“ — წესს ლეო რჩეულიშვილი.

ჟურნალში ამ ნომერში მკითხველებს გაეცნობის ექიმის ქალის ელინორა მესხის მამა-

მზისპარკმა შურნალის რედაქტორი
მარისა ბარათაშვილი



ასახოს მსოფლიოს ქალთა მოძრაობა, მეტი წვლილი შევიტანოთ მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

ქალი სიცოცხლის შემოქმედია, ამ სიცოცხლის უახლესი საყრდენი და მებურთი, ოჯახის დიასახლისი. ამავე დროს იგი, მშენებელი და მოქალაქე, მამაკაცის მხარდამხარ იღწვის ჩვენი ცხოვრების ყველა სამშენებლო უბანზე, ქმნის სულიერ განმეულობას და მატერიალურ დიდებას. და, რა დასაფიქრია, რომ მიუხედავად საყოველთაო წახალისებისა და უდიდესი დახმარებისა, რომელიც ბავშვთა აღზრდებლობითი და სხვადასხვა დაწესებულებების სახით გავგვჩნია, ქალს ჯერ კიდევ უდიდესი სულიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვის შედეგად უზღდება ყველა ამ საქმიანობის შეთავსება.

ქალთა შურნალის დანიშნულების არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა მისი პრაქტიკული საქმიანობა.

ამჟამად ტარდება რეიდები საბავშვო ბაღებსა და ბაგებში, მომავალში კი მოეწყობა სკოლებში, სამკურნალო, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებებში. ქალაქის შრომისა და დასვენების პირობების შესწავლის მიზნით რეიდები მოეწყობა ფაბრიკა-ქარხნებსა და საკომლენერგო ველებზეც, ისეთ მომორბეულ რაიონებში, სადაც მეტად საჭიროა ჩვენი დამხმარე ხელი.

„საბჭოთა ხელოვნების“ მუშაკებს და მის მივითვლებს ჩვენთვის საჭირობოტო საკითხებზე სასაუბროდ თავის „მრავალ მაგიდასთან“ იწვევს შურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორს.

1908/91



კობას მეორე მსოფლიო ომში. ამჟამად დაწვრილი ექიმი რესპუბლიკის მკანონა-გინეკოლოგის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების გამგეა. მწვეა პრაქტიკულ და სამეცნიერო-მედიკალურ მუშაობას. იგი არის აზია-ფაროს ხალხთა სოლიდარობის საკავშირის და რესპუბლიკური კომიტეტის წევრი. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის 10 წლისთავთან დაკავშირებით ელენენორა მესხი დაჯილდოვდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საბავთო სიგელით. ყოველივე ამის შესახებ მოგვითხრობს ღირსშენიელთა ნარკვევით „ელენენორა მესხი“.

საინტერესოა ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქსენია სიხარულიძის სტატია „ლილი ჭიანჭველი“. იგი ეხება ისტორიის მეცნიერებათა პირველი დოქტორი ქალის, ნაპოთა ეთნოგრაფის მუსულან ხარაძის ცხოვრებასა და შილანწობას.

მეცნიერებაში მოპოვებული ღირსი წარმატება რუსულად ხარაძის თავდადებული კვლევისა და დაუღალვე შილანწობის ნაყოფია. 1922 წლიდან 1948 წლამდე მან ოცდაორი მეტრეტო შრომითა საქართველოსა და ჩრდილოეთი კავკასიის მთავარი, ყვავის, ვახსენის ხანაძე ერთად უმოგზაურია თუ უმოგზაურია.

ხიზლავს უჩვეულო ენთუზიაზში, მტიცი ნებისყოფა, მიზნისაკენ დაუცხრობელი სწრაფვა, პრინციპულობა და საქმისადმი უდიდესი სიყვარული...

მწერალ ქალს დასწრე ველოვანს, რომელსაც ჩვენში „ანაოვანის“ ფსევდონიმით იცნობენ, უსაზღვრო უყვარდა, ცდარაი, იგი თავის ოსწულებში ხშირად იხსენებს ქაღარაკ ქართულითა მალანტიკურების საბუთად. მას სცოდნია, რომ ძველ საქართველოში ამ „მეფურ თამაშს“ ღილი პატივად დაღვინება ჰქონია ქალების მხრივაც. ვინ აზიარა ნიჭიერი მწერალი ქალი ქაღარაკის სიბრძნეს? ვინ, ვაცნო ქართველი ქალების ქაღარაკით გატაცების ამავი? ამ კითხვებზე იძლევა პასუხს თენგივ გიორგაძის წერილი „ქაღარაკ გამიწერებული ბანკვანი“.

შურნალ „საქართველოს ქალის“ მივითვლებს შესაღებლობა მიეცემა გაცნონ აგრეთვე საინტერესო მასალებს, რომლებიც გამოქვეყნებულია რუბრიკით „საქიბალოს საყაროში“, „ჩვენი სოქაში კლუბი“, „პედაგოგის აზანი“.

„ჩემი დღე“ — ასეთი სათაური აქვს ნა-ვარძილოს იუმორესკას, რომელსაც შურნალის ბოლო გვერდები აქვს დაშობილი. განსაკუთრებით გვიდა შევიტრედო ერთ

წერილზე, რომელსაც შურნალი მივითვლებს საკითხის დასმის წესით სთავაზობს.

რედაქციამ მრავალი მაგიდის გარშემო სტუმრად მოიწვია ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები: შურნალი — კონსტანტინე გასპარაია და ლევან გოთუბ, მხატვარი ლალო გუდიშვილი, მასხაობა თამარ ციციშვილი, მოამსყველი ალექსანდრა ჯავახიძე, პროფესორი ნოდარ ყიფშიძე, დამსახურებული მუშა დარჩენა ფალენიშვილი, ექიმი — კულნარი თამარ სულაქველიძე, საუბარში მონაწილეობა მიიღეს შურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრებმა და რედაქციის მუშაკებმა. „საქვეყნოდ არის ცნობილი ქართული სტუმართმოყვარეობა და მასხაობლობა. ჩვენი სუფრის ემზობა და სილამაზით არაერთგვის მოხიბლულან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები“... „მავრამ დღეს მათი შეხვედრის მიზნად მრავალი მაგიდის გარშემო ქართული სუფრის უარყოფითი მხარეებია“...

„ერთი ხაუპალობის სუფრა“ სწორედ ამ მნიშვნელოვან საკითხს ეხება და უკვლის მხარდაჭერას მოითხოვს. ჩვენც ვუერთდებით მათ — და აქვე შეუშვიტებლად ვაქვენივთ ამ წერილს.



ერთი ხატაკური სურათი

საკვეთროდა ცნობილი ქართული სტუმარმოყვარეობა და მას-
პინდობა: ჩვენი სურფის ენობია და სიღამაზო არაერთგზის მო-
ხილულან მსოფლიო სხვადასხვა კუბიდან ჩამოსული ადამიანე-
ბი. ნებნარი, გემოვნებით შეხვებულნი კერძებისა და ძირფუასი სას-
მუდების გარდა ისინი აღტკვებენი მოსკვდა ქართველი თავზაი-
ნობას, მაგიდის წყრთა ბრძნულ საუბრებს და თავდაქარას.

მაგრამ რა პარაკოსულად არ უნდა უდრდებოდ ახლა ეს, ჩვენი
მიდევნდელი შეხვედრის მიზანი შტაკვილი მაგიდის გარშემო? ქარ-
თული სურფის უარყოფითი მხარეებია.

აღბათ, უკვლა თქვენგანი დაგვითანხმებია იმაში, თუ რა ხშირია
ნაპურმაროღები ხაზის ჩივილი წვეულებების მეორე დღეს.
კაცებე: „ჩამაზარჩვის, კაცო, ღვინობი, თავი მისვლებმა. ერთ
კვირას ვერ მოვალ ახლა კუაზუფ“.

„ამდენი ჰუმა-სიზო შეიძლება მოკვდეს კაცი“.

„გინებათ, ხაზუგ ვიყავი დასაკრეფული, მზის ამოსვლას მას-
პინდულან შეხვდენი, უნაწ დაზარუნების კი შთავარეს დავუქნე
ქალი“.

კაცებე: „რა უბედურობაა ბოლო რა საათი მაგადსთან
გქოდა, მე შენ ვიტყვი გაერთობი, იცეცებე და იმდერბე. იყავი გა-
ქვავეფული, უსმინე, როგორ აქებენ შთარვლები გრამინებს“.

„დაწყვა დასახლების და მისე ქალიშვილის სცავალიაბამ, ვიცი
ღამე გადაურელებივით დარბოდენ საშარეულთა და სასადილო
ოთახს პარა“.

„გადაურედი ქალი, ერთი კვირა წვეულებებისთვის ვემსადე, ერთი
კვირაც დარჩენილი საქმლის მეზობლებში დარჩევახა და ხტევა-
რეხი“.

ასეთი მავალითების მოყვანე უხვად შეიძლება, მაგრამ, აღბათ,
უკვლა თქვენგანს მოსდის ახლა თავიშ მგავსი დილორები.
ერთი შეხვედრით, ყოველივე ეს მხიარულ დილმის იწვევის, მაგრამ
თუ კაცი კარგად ჩაუღებრდება, დილმის ნატამალც აღარ შურჩე-
ბა ხაზუგ.

რაშია ხაზუგ, რაკომ იქცა ჩვენი ხანაქებე ქართული სურფა ბე-
რისაივის რანგა-წამბათა?
„ო სწორად, ამ ბიზუზების დასადგენად და სამსქეფილ მოცი-
ვით რუდაქციის შრავული მაგიდის გარშემო ჩვენი ტრესულაციის
მოწინავე ადამიანებე, და, ასე განსწენთ, ისე გავაყვირდით, რომ

მხოლოდ ხატაკური და ქიჯა ჩიით გადააწვევტოტ მათი გამახანინ-
დობა.

ჩვენიან სტუმარად იყვნენ მწერლები — კონსტანტინე გამს-
ხურდია და ლევან გოთუა, მასწავლებელი გულიანაშვილი, მსახიობი
თამარ ციციშვილი, მოამსვენელი აღმესწავლა ჭავჭავაძე, პრფესორი
ნიღარ უფშიძე, დამასურებელი მეუბა დარეგან ფაფინიშვი-
ლი, ექიმი-სულგინი თამარ სულაველიძე, სახიბრლო მონწილეობა
მიიღეს თურქულ-საქართველოს ქალს“ სარედაქციო კოლეგიის
წევრებმა და რედაქციის რედაქციებმა. შრავული მაგიდის წყრთა სიმ-
რავლე მასულებას არ ვაგაუბდეს თითოეულის აზრი ცალ-ცალკე
მოგახსენით. შევეცდებით სახიბრლო ერთი მოლოანობაში გადმოკეთო.

უპირველეს ყოვლისა, საუბარი ჩვენი სურფის უკვლაზე მანკიერ
მხარეზე — გადაჭარბებულ ღვინის სმას შეგობ. დიდად პარაცევებულმა
კონსტანტინე გამსხურდიან ხატაკისით აღნიშნა ღვინის დასწულე-
ვები მოქმედება ადამიანზე. სურფის რომელ აკადემიკოსებზეც შენი-
დლება ჰგავსი, როცა ნადიმის დასაწარმოებელ თამადა (ან მასინ-
ძელი) ჭახის უშეფრებელ რკას გაჯახებს. აღკოვების დიდი დო-
სის ერთბაშე მიიღობს შედეგად სრულად აღივსება და ადამიანის
წერული სისტემა, ჩლუგდება აზროვნება, თავს იჩინს ელფირის
ინსაქტები. ამას ზედ ერთვის კიდევ ისიც, რომ ჩვენი სურფა ასე
უსაშუალოდ პიარდობდა. ზოგი თავის გამახანინებულად წინაბრბებს
მოითხოვობს ხომდე; არაუშვს, ჩვენი მამა-პაპისი უფრო დიდხანს
უხსნდეს სურფის, მაგრამ ამით არა შევდებოდა-რაო. ვინც ასეთ
განცხადებას აკეთებს, ერთი რამ ავიწყდება: უპირველეს ყოვლისა
ის, რომ ძალიან დიდხანს მხოლოდ პრივილეგიირებული, არაშრო-
მული (დასი ნადიმობა, მეორე კი ის, რომ არსებობდა ღვინის სმის
რადეც დაწერული ცანონი. თავიანთე დიდ სამსის ხელს არაივინ
თქვენმა სმამ პარაკ-პატარა, ღვინის ჭიჭიბით იწებობდა; ირგანო-
ში თანდათან გუგურობდა აღკოვლეს და კუუა-გონენასაც არავინ
ჭარკავდა. პირიქით, იმართებოდა გასწავლებული, ბრწული საუ-
ბარი. ამიტომ იყო, რომ ქართულ სურფას აკადემიას, პარამბადა
უწოდებდნენ.

ახლა ღვინის ტიქსა აღბარებენ ცნობის როგორც უკვე მოგახსენ-
ებენ სმას ან იაწინო. ანდა, უპირველ შემთხვევაში, ჩანს კვითი იყუ-
ბენ, და ასე გრძობდება ბოლომდე.

აღკოვლები უხვად ტენიაზარნიშული ადამიანები გათვალისწინებულ
აქებენ დარსოვლასა თუ ღვინის, წარმოსტკავენ გაუთავიბებელ სა-
ლოერკებლობის, რომელითაანაც საქმაოდ ბეჭი არაგულწრფელია.
ზოჯირ ავიწყდებათ, რომ გვირდები თაიანთი სულისა და აზრის
მონაწილე — ცოლი უფით. ცოლმა შესანიშნავად იცის ქმრის აზრი
სალოერკების მობიქრუე და გაოცებულად შესცინების მეგობარს,
რომელიც რადაც ძალიან დიდი ჭარბაას მის თვალში.

ადამიანი ყოველივეს უნდა ს: ხიზობდეს თავისი ემოქის რიგმსა
და მართიანხს. ჩვენი სალოერ კრემების, კიბირნიკიის, აკომის,
აზრობების სალოერია. ყოველი დღე სახსვა დათმობიბობით. სალოერ-
ებით. მყოფი ადამიანი უმოკლეს დროში ადამიანს უჩარბამარ მან-
ძილს შთავარებდა, და ჩვენი იო სოფ მირე 7-8 საათი უხსნებართ
მაგდას, აოხსნიბართ უფხად. უფიწროდ, ეუსნებართ იბიკომ,
რომ უწორნი სმამბით დათავიანთ გული, გადავტკბიროთ ისე-
დამ გადათოლონი წერული სისტემა.

პრითორიბმა წერული სისტემა ჩვენი იმდემქიმ ხაზი უფიარება სახმობის
და სამპირს მდობის მავნიშობლას. მოსაძილს უფიარება იბიარკო-
ბის მიზნად, რომელიც ასე უწრავად ახსნდება, თამამე შთავრებ-
ჩიითაილის უწრავი სმამამა და მისი არასწორი თრანზაქცია.
ყოველივე დათმობიბობა სადამის 6-7 საათის შთითეკ მსოფი. დიდა
კლოერკობობის და ძნელად მოსანიშობებელი სამპირს მდობა.
არსობის არ დაწიით ახლოწინამში. ადამიანის უროლოგის მე-
ქან-წმ სამპირს მდობის შთიდეგ ამაპობილ მომუშაბს ეჩევა. მე-
შაობს კომ-წანოლო, ღვინით, თარიმდებელი, გათავკობილობა მუ-
ლი და სისწობარებობი. ამ მომუშაბს კი ორგანოწმ დიდად უდად-
ლობის ადამიანს მორბობა და იბიქრობ (არადათმობილ) შრავლი-
როგობაში ყოფნა. რამდენი საბავალიო შთმთხოვა იყის მიდციონამ,
როცა ადამიანს ზედმითი საქმელ-სამსქილის მდობის შემდეგ დაუ-
ძინია და აპარ გაუღვიბია.

მსასაღმენიბობა ის ამბაი, რომ ამ მომო დრის, მართლობა
მასობრივად არა. მარამ მინაწი ახსნდება შემთხვევებით, როცა ქი-
თოლოგინიბი მასპინძლობიბი ლამობის სადლოდ 4-5 საათისათვის
ეპაკობიბან. მაგრამ, ჰუმა-სიზო ზომიბირბობის დიდა მინაწი საჭიროა.

შთმთხოიბობი რდობი ის ამბაი, რომ ასე გაიწინადა მიგრაციობა-
და სხამდობის რდობი. უფრო სწორად, ნორმალური წონის შესწარ-
ჩუნებოდა; გარდა იმისა, რომ გვირდებ ღამაზადა; ახლავარდულივე გა-



ლევან გოთუა და ლადო
გულიანაშვილი

მოკუებრბოდეთ, ვინაჲ აგრეთვე ვიყო განმრთული, ვიცოცხლოდ
დიხანს. ნორმალური კვება, სასმელის ზომიერი მიღება ხანგრძლი-
ვი სიცოცხლის საწინდარია.

* * *

მაგიდის ლამაზად, ორიგინალურად გაწყობის შესახებ გვესა-
უბრა ექიმი-კულინარი თამარ სულაქველიძე.

რძელსაც სანადიმოდ გვეპატივებიან,—სქვა მან,—დაგვეთანხმეთ,
წინასწარ ვიკით რას მოგვარებთ: გოგს, ინდურს, ნიგვის ბაჟს
ან საცივი (საცივი მოღანი აღარა, უფრო ბაჟს, მაგრამ
არც მას აკარებთ არაჲი მირის), ხაჭაპურს, ფხაღელულს. ნუ-
რავინ იფიქრებს ამ საქმელების წინააღმდეგი ვიყო, პირიქით, გო-
გა, ინდური, ხაჭაპური მუდამ დარჩება ჩვენი სუფრის მშვენივად,
მაგრამ ერთფეროვნება მისაწყენია. წარმოადგინეთ ახალი წლის
ადგილი: ყოველ ორ საათში ახალ სუფრაზე ზიხარო და ყველა სუფ-
რა ტყუილბოვით მჭავს ერთმანეთს. მაგიდები ისეა ხორაგით დაკვი-
როვული, კრიალი გაუღიო. მასანძელი მს კაცს ელოდა სტუმრად,
ხორაგი კი 50 კაციისათვის მოუმარაგებია. აქ ვინდა უზარმაზარი
კითხვის ნიშანი დავსვათ. რა საქმეა ეს? ვის ვაკვირებთ ამით?
მოგატყვევით, მაგრამ, ამას პროვინციულობის, თუ მწიბავთ, უყულ-
ტურობის იერი ხომ არ დაქრავს? კაცს ხომ გრძო ტუკი აქვს!

რა საბარლო შესახებია დიანახლისი, რომელიც მთელი საათი
ტრიალებს სინთი ხელში მაგიდასთან და აღარ იცის სად ჩატობს,
ცნ იცის, ეს უწყვეტ მერამდენე თავი საქმეში. ბოლოს მაინც იძულებ-
ული ხდება თევზი თევზზე შედგას. ასე გადაცხროვული სუფრა
არაჲსთეტიკურ, უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. წარმოიდგინეთ:
ხალვათად, კოწრიად გაწყობილი მაგიდა, თევზებზე თხლად,
ფაქიზად დაჭრილი ხორცი, ყველი, თევზი აწყვია. ასევე ფაქიზად
და ზომიერადაა სუფრაზე მწვანილი და სხვა სანოვაგე (სულაც არ
არის აუცილებელი ყოველთვის გოჭი და ინდაური). ყოველივე
ისეა განლაგებული, რომ იგრძნობა დიანახლისის გეგოვნება. მზრუ-
ნეელი ხელი. მაგიდას ორ-სამ ადგილას ყველივები ამშვენებს პა-
ადამიანი კვლევა-ძიების ობიექტია
ადამიანი, რომელიც იცვლება და, რომლის მეშვეობით სცენა შედის
ყველა სხვა დამოუკიდებელ თავისთვის განვითარება მრუდებში ნახტომები

ადამიანი — როგორც პროცესი გინება (ბრეტკი, პოესები, ტ. III, გვ. 267. ვერგანულ ენაზე).

თეატრისა და დრამატურგიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ზოგიერთი მომენტის ამგვარი მკვეთრი დაპირისპირების გამო, განსაკუთრებით გრძნობისა და გინების ამგვარი გათიშვით ბრეტკის „ეპიკური თეორიას“ იმთავითვე მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ბევრს ახლაც მიაჩნია, რომ ბრეტკი — „აზრის ემყოლო“ ამკარად უკულებულყოფის ადამიანის გრძნობად-ემოციურ სამყაროს, ჩქმალავს მის როლს მაჰურებლისა და თეატრის ურიოერთობის პროცესში. ამგვარი შთაბეჭდილება მართლაც რჩება ბრეტკის ზოგიერთი თეორიული წერილის გაცნობის დროს, განსაკუთრებით 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში, როცა იგი „გონების გადარჩენისათვის“ იბრძოდა. მაგრამ, ცხადია, არსებითად ბრეტკი — თეორეტიკოსი ყოველთვის გრძნობა-გონების დიალექტიკური ერთიანობის პრინციპს იცავდა მსატ-

ვრული შემეცნების პროცესში და არასოდეს თითქმის მოხდა მათ ისე, როგორც ამ მოცემულ სქემაზეა გაკეთებული.

იგი ყოველთვის კრიტიკული ადვილად თავისივე მიღწევებს და შემოქმედებითად უდგებოდა როგორც სხვის, ასევე საკუთარ ნააზრებს. მოღვაწეობის ბოლო პერიოდში „ეპიკური თეატრის“ ნაცვლად „დიალექტიკურ თეატრს“ ხმარობდა; ამით მას უნდოდა თავიდან აეცილებინა, როგორც ის ზოგიერთი უხერხულობა და ცალმხრივობა, რაც „ეპიკურის“ ცნებას ახასიათებს, ასევე, (და ეს მთავარია), მითითებები იმ თვისობებზე გარდატეხვას, რაც „ეპიკური თეატრის“ თეორიამ განიცადა ორი ათეული წლის მანძილზე, ვიდრე ის „დიალექტიკური თეატრის“ თეორია გახდებოდა.

„ეპიკური თეატრის“ თეორიის ძირითადი პრინციპები ბერტოლტ ბრეჰტმა უფრო სრულყოფილად ჩამოაყალიბა შემდარებით გვიან თეორიულ შრომაში — „მცირე ორგანონი თეატრისათვის“ (1948). ისე, როგორც „ახალ ორგანონში“, ბრეჰტმა აზროვნების ინდექსური მეთოდი შუასაუკუნეების სქოლასტიკურ აზროვნებას დაუპირისპირა, ასევე ბრეჰტმაც „მცირე ორგანონში“ ძველი, ანუ როგორც ის უწოდებს, „არისტოტელური თეატრის“ ამ ტრადიციულ შეუტია, რომლებიც მას მარქსისტულ-დიალექტიკური აზროვნების ეპოქში საკმარისად აღარ მიიჩნია. იგი ლაპარაკობს „შენიერული ვიოქის“ თეატრზე, რომელმაც თავისი მოღვაწეობა ახალ თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველზე უნდა გამართოს.

„ორგანონის“ პირველივე პარაგრაფში ბრეჰტი „თეატრს“ ასე განაზრტავს: „თეატრი — ესაა ცოცხალ სურათებში ნამდვილი ან მოგონილი ამბების წარმოსახვა, რომელიც ადამიანთა ურთიერთობის ისე გვიჩვენებს, რომ ადამიანები გარბობს“. ამავე აზრს მეორე პარაგრაფშიც იმეორებს: „...ყველაზე უფრო ზოგადად ამოცანად დავსაზრტავებ, რომელსაც „თეატრი“ ეწოდება — სიამოვნების მინიჭება... „გართობა“, „სიამოვნება“, „ტკბობა“ — სწორედ ის ცნებებია, რომლებითაც ბრეჰტი სხვა თეორიულ შრომებშიაც მსჯელობს, მაგრამ, როგორც დავინახეთ, მათ შინაარსი დიაბეტრალურად უპირისპირდება იმას, რაც ჩვეთთვის იდეალისტური ესთეტიკიდანაა ცნობილი. ბრეჰტი განასხვავებს „ეპიკოფილიების მაღალ და დაბალ ფორმებს“, ანდა „ეპიკოფილიების სუბტი (მარტრი) და ძლიერ (რთულ) სახეობებს“ და ესთეტიკური ტკბობის ყველაზე „მაღალ ფორმას“, ხელთყენებში განსახიერებელი ესთეტიკურის ტუმარტ სათავედ საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანთა შრომითი საქმიანობის, სინამდვილის გარდაქმნით გამოწვეული სიამოვნებას მიიჩნევს. ბრეჰტისათვის მთავარია, მაყურებელმა ბოლომდე შეინარჩუნოს კრიტიკული დამოკიდებულება სკენაზე ნახულობისადმი; სანახაობა წარმოდგენილი უნდა იყოს ის, რომ მაყურებელი არ აღმოჩნდეს ჩათრული მოქმედების განვითარებაში, ისე რომ არ მოიშალოს კრიტიკული დამოკიდებულება, არ შესუტდეს გონების ფხიზელი თვალი. ბრეჰტი მაყურებლის კრიტიკული აზროვნების გაძლიერების საშუალებებს ეძებს. იგი წინააღმდეგია ისეთი სანახაობისა, რომელმაც „წმინდა თეატრალური განცდებით“ მაყურებელი შეიძლება აიყლოს და დაბნობს.

თეატრი, რომელიც „სინამდვილეში უნდა იტრბოდეს“, ბრეჰტის აზრით, არ შეიძლება დაეპიკოფილდეს სინამდვილის მხოლოდ შემეცნებით. „...ჩვენმა თეატრმა — ვითხოვლობით — „მცირე ორგანონში“ — უნდა აღძრას შემეცნების სურვილი და უნდა გააღვივოს სინამდვილის გარდაქმნით გამოწვეული ეპიკოფილების გრძნობა. ჩვენი მაყურებელი არა მარტო უნდა ხედავდეს, თუ როგორ ვათავისუფლებთ მიჯაჭვულ პრემიებს, არამედ თვით სურვილი მისი განთავისუფლებისა უნდა იწიერებოდეს მასში“...

ასალი მართის ხელოვნებაში, ბრეჰტის მიხედვით, მთავარია აისახოს ბუნებისა და საზოგადოების გარდაქმნის პროცესი, რაც თავისთავად წარმოუდგენელია ადამიანის სინამდვილისადმი შემოქმედებით, კრიტიკული დამოკიდებულების გარეშე. მხატვრული შემოქმედებისა და თეატრალური ხელოვნების პირდაპირი და მთავარი ამოცანა ხელი შეუწყოს პიროვნების შემოქმედებით, კრიტიკული აზროვნების განვითარებას; ამ დიად მისის შესრულება, ბრეჰტის აზრით, სასესებით შეუძლია „ეპიკურ“ ანუ „დიალექტიკურ“ თეატრს, როგორც სულიერი აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას „შენიერების საკუენის“ ხელოვნებაში.

„ეპიკური თეატრის“ ამ ძირითადი მიზნის შემოქმედებით პრაქტიკაში მიღწევასათვის ბერტოლტ ბრეჰტმა დრამატულ და თეატრალურ საშუალებათა მთელი სისტემა შექმნა. ამ სისტემის ელემენტებია „გაუცხოების ეფექტი“ (Verfremdungseffekt, эффект оуждения, alienation effect), რომელსაც, თანახმად ბრეჰტის თეორიისა, გამოვლენის სამი ძირითადი სფერო აქვს: დრამის აგებულება (Dramenbau) სცენის სტრუქტურა (Bühnenbau) და მსახიობის თამაშის მანერა (Schauspielweise). „გაუცხოების ეფექტი“, როგორც მხატვრულ-შემოქმედებით საშუალებათა კომპლექსი, თავისებურად აღწევს დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი.

ბრეჰტის „გაუცხოების ეფექტი“ არ არის ფორმალური ექსპერიმენტი, ან კიდევ „ეპიკური თეატრის“ ადრეული პრინციპული საფერის განახლება, როგორც ზოგიერთს (მაგ. ფრიც ერპენბეკს) ჰგონია. თვით ბრეჰტის სიტყვებით — „ანტიკური და შუასაუკუნეების თეატრი აუცილებდა თავის პერსონაჟებს ადამიანისა და ცხოველის ნიღბებს, აზიური თეატრი დღესაც იყენებს გაუცხოების მუსიკალურ და პანტომიმურ საშუალებებს. საზოგადოებრივი მიხენება ამ ძველი ეფექტებისა ჩვენთვისაც სრულიად განსხვავებულია...“ (ახი ჩე.—უ.ტ.).

არის ცდები „გაუცხოების ეფექტი“ მოსწყვიტონ ბრეჰტის შემოქმედების იდეურ-შინაარსობლივ მხარეს (პ. ბიოკმანი), ანდა ამტკიცონ „გაუცხოების ტექნიკის ჰეგელიანიზმი“, „გაუცხოების ეფექტის“, „მარქსისტული საფუძვლების ჰეგელიანიზმი“ (კ. შუფერი).

„გაუცხოების ეფექტი“ ორგანოში ნაწილა ბერტოლტ ბრეჰტის ესთეტიკისა, რომლის მეოთხდღიოებური საფუძველიც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიაა. სწორედ ამით აიხსნება რეალიზმის თეორიის დამუშავების მეტად მაღალი დონე, რომელიც დრამატურგის და რეჟისორის კრიტიკული წერილებსა, ფრამენტებსა და ჩანაწერებშია მოცემული

უცხო ენათა ინსტიტუტი



ლალი როსება

იტალიური ჭრონიკები

ძალზემ სასიამოვნოა, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის დაინტერესება სახვითი ხელოვნებით. ამის ნათელი დადასტურება გამოფენები და შეხვედრები ჩვენი ხელოვნების გამოჩენილ ადამიანებთან, რომლებიც სისტემატურად ეწყობა უმაღლეს სასწავლებლებში.

გასული წლის აგვისტოში თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო ამავე ინსტიტუტის სტუდენტთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა. წარმოდგენილი იყო ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტების — მანანა წიფწივაძის, ავთანდილ თომაშვილის, ბასიშვილის, როსებას და სხვათა ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები. განსაკუთრებით სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა ავთანდილ თომაშვილისა და მანანა წიფწივაძის ფერწერულმა ტილოებმა. ორივე ავტორისათვის



ლალი როსება

ჯულიევის
მოგზაურობა

მანანა წიფწივაძე

ბივის პორტრეტი

სტუდენტთა ნამუშევრები

დამახასიათებელია საკუთარი ხელწერა, უშუალო განცდა, გამოსახვის თავისებური მხატვრული საშუალებები.

მანანა წივწივაძეს გამოფენაზე ძირითადად წარმოდგენილი ჰქონდა მეგობრების პორტრეტები და ნატურმორტები, რომლებიც გამოირჩეოდა კოლორიტის გრძნობით, მოდელთა ხასიათებში წვდომით და პროფესიონალიზმით.

ასევე საინტერესო იყო ავთანდილ თომაშვილის ნამუშევრებიც, ნანახი და განცდილი მის მიერ წარმოსახული იყო ნამდვილი მხატვრის გრძნობითა და ტაქტით.

უცხო ენათა ინსტიტუტში მოწყობილი სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენით ჩვენ გვეცანით ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვრებს, რომელთა შემოქმედება, უნდა ვიფიქროთ, მომავალში ფართო საზოგადოების ყურადღებას დაიმსახურებს.

მღვაჯა აბაშუაძლი



ავთანდილ თომაშვილი

შემოდგომა



ავთანდილ თომაშვილი

ჩაფი



მანანა წივწივაძე
ნატურმორტი



მოგონება

(„წერის რეალისტური მანერის სიფართოვე და მრავალმხრიობა“, „ხალხურობა და რეალიზმი“, „რეალიზმი და დიალექტიკა“ და ბევრი სხვა). „რეალიზმის ცნება სიფართოვს გულისხმობს და არა შეზღუდულობას... ჩვენი — წერის ბრეტი — ჩვენი ესთეტიკა, ისე როგორც მორალი, ჩვენი მიზნობის მითითებებიდან გამომდგამს.“ „დაიდი ცნება რეალიზმისა“ — გვაფრთხილებს იგი — არ უნდა გახდეს რამდენიმე სახელის მონობოლია. „რეალისტური ნიშნავს სა-სოციალისტურ მიზნულ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენას; გაბატონებული შეხედულებების კრიტიკას იმ კლასის პოზიციებიდან, რომელსაც სიძნელეების გადალახვის ყველაზე ფართო პროგრამა აქვს: განვითარების მომენტის ხაზგასმას“ (ბრეტკტი).

რეალიზმის თეორიის აქტუალური საკითხების დამუშავების თვალსაზრისით, აგრეთვე ბრეტკის — მწერლისა და თეატრალური მოღვაწის შეხედულებათა განვითარების სანდენებლად, განსაკუთრებით სანტერესოა 1954 წელს დაწერილი თუხისები „სოციალისტური რეალიზმი თეატრში“ (ბრეტკის არქივი, 1880/115, აგრეთვე 12/47-48) და ფრაგმენტები სოციალისტურ რეალიზმზე (არქივი, 150/12-13; 49/05, 49/05-06-07-08 და სხვ.).

სოციალისტური რეალიზმი — ვკითხულობთ პირველ თუხისში — ნიშნავს სოციალისტური მოპოვიდან აღამიანთა თანაცხოვრების მართალ ასახვას ხელოვნების საშუალებათა გამოყენებით. ასახვა უნდა იყოს ისეთი, რომ შექმნას წარმოდგენა სოციალურ მოძრაობაზე და წარმოშობს სოციალისტური იმპულსები. სოციალისტურ რეალიზმში არის მკაფიო ფიქსი, რომელსაც წარმოშობს საზოგადოების მეშვეობით აღამიანის ბედის სრულყოფის შესაძლებლობა“.

ბრეტკი შემდეგ იმეორებს ცნობილ დებულებას, რომ სოციალისტური რეალიზმი სინამდვილეს მის წინააღმდეგობრივ განვითარებაში გვიჩვენებს, რომ ხასიათები და მოვლენები უნდა იყვნენ ისტორიული, ცვალებადი და წინააღმდეგობრივი. „ეს ნიშნავს — ნათქვამია მუხამე თუხისში — დიდ გარდატეხას. საჭიროა სერიოზული მუშაობა, რათა ვიპოვოთ ასახვის ახალი საშუალებები“.

სოციალისტური რეალიზმი ბრეტკისათვის შემოქმედებითი მეთოდია, რომელიც მრავალგვარი მხატვრული სტილის განვითარების საშუალებას იძლევა. იგი წინააღმდეგია სოციალისტური და კრიტიკული რეალიზმის ისეთი დაპირისპირების, რომელსაც შეიძლება „არაკრიტიკული რეალიზმი“ დაკანონოს (არქივი, 49/06-07).

სოციალისტური რეალიზმი, ბრეტკის სიტყვებით, „მებრძოლი ხელოვნება“, მებრძოლი კაცობრიობის დიდი მოვლესასთვის.

„მებრძოლი ხელოვნების“ თეორიაში „გაუცხოების ეფექტი“ საბატიო ადგილი უჭირავს. იგი ასახვის „ახალი საშუალებების“ ძიების შედეგია. „გაუცხოების ეფექტი“ თავისთავად არ არის ბრეტკის მიგნება თუ აღმოჩენა. „სტილისტური თვალსაზრისით — ამბობს თვით ბრეტკი — ეპიკური თეატრი არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ ახალს“. მის ელემენტებსა და ცალკეულ ფორმებს ბრეტკი პოულობს როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე ანტი-

კურ, შესაუკუნეებისა და ახალი დროის ხელოვნებაში. ბრეტკმა ისინი მხოლოდ შემოქმედებებითა და აითვისა, ერთმანინ სისტიკმა შექმნა და თვისობრივად ახალი მიხვნებისათვის გამაიყენა. ყოველ ნაბიჯს ამ მიმართულ კბით იგი „ცდას“ უწოდებს, ერთერთ „ცდას“ ახალი ეპოქის ახალი ხელოვნების შექმნისა.

ასევე „ცდას“ არ შეიძლება ყველგან წარმატებით დავირგინდეს. „დიდი ერების უმრავლესობა დღეს არ ცდილობს საკუთარ პრობლემებზე თეატრში ილაპარაკოს. ღონდონი, პარიზი, ტოკიო და რომი თეატრებს სრულიად სხვა მიზნებს უსახავდა“. საზოგადოებრივი პრობლემების გაერვე „ეპიკური თეატრი“ ვერ იარსებებს (ბრეტკი, „შეიძლება ეპიკური თეატრი ყველგან იყოს?“, 1936, იხ. „შრიფტენ ცუმ თეატრ“, ტ. III, გვ. 70).

ბერტოლტ ბრეტკის ხელოვნების თეორიისა და შემოქმედებითი პრაქტიკის მნიშვნელობა საყოველთაოდ აღიარებულია. მაგრამ თუ მანც ჯერ კიდევ ბევრია „ურწმუნო თომა“, ხე, ძირითადად, ბრეტკის მემკვიდრეობის მხატვრული თავისებურებითაა გამოწვეული. „პატარა საუბარში ურწმუნო თომასთან“ („შრიფტენ ცუმ თეატრ“, ტ. III) და ფრაგმენტებში, რომლებიც ლაპარაკია იმ „ბანალურ და გავრცელებულ შეცდომებზე“, რაც, „ურწმუნოთა“ აზრით, „ეპიკურ თეატრს“ და მის თეორიას აქვს, ბრეტკი კიდევ და კიდევ განმარტავს, რომ მთელი მისი შემოქმედება „მეცნიერული საუკუნის“ ახალი საზოგადოების მიზნებს ემსახურება.

ბერტოლტ ბრეტკის — დრამატურგისა და რეჟისორის თეორია და შემოქმედებითმა პრაქტიკამ საქვეყნოდ ცხადყო, რომ რეალისტური შემოქმედებითი მეთოდი „სოციალიზმის გულისხმობს და არა შეზღუდულობას“, რომ მის საფუძველზე შეიძლება განვითარდეს მრავალგვარი მხატვრული სტილი და ფორმა. უფრო მეტიც. ბრეტკმა თვით უჩვენა ყველას ის დიდი მხატვრული შესაძლებლობანი, რასაც რეალიზმი გულისხმობს. მთელი მისი შემოქმედება, მისივე სიტყვებით, არის „სერიოზული მუშაობა, რათა ვიპოვოთ ასახვის ახალი საშუალებები“. სასეუბით კანონზომიერია, რომ ამ „სერიოზულმა მუშაობამ“ მთელი მსოფლიოს პროგრესული ხელოვნების წარმომადგენელთა ყურადღება მიიქცია. მორენავე თეატრალურმა მოღვაწეებმა ახლებურად წაიკითხეს ბრეტკის პიესები და ფიქრი დაიწყეს მათი მხატვრული განსახიერების ახალ ფორმებზე. დრამატურგთა ერთმა ნაწილმა კი ბრეტკისული „ეფექტის“ თავისებური გააზრება და გამოყენება სცადა თავიანთ ნაწარმოებებში. აქ შეიძლება დავა-სახელთო ამერიკელი არტურ მილერი, შვეიცარიელები — ფრიდრიკ დიურენმატი და მაქს ფიორი, გერმანელი — ქელმუტ ბაიერილი, „ირკუსტკის სტორიის“ ავტორი არნუ-შოვი, ფრანგი ხელოვანი არტურ ადამოვი, კოპოვი და ბლა-სჟეი — ჩეხოსლოვაკიდან და სხვ.

პროგრესული ხელოვნების მოღვაწენი, როგორც მოსა-დენდელი იყო, ბრეტკის პიესების მსოფლიოს სცენებზე ტრიუმფალური სვლის საფუძვლად ჰუმანისტური და დემოკრატიული იდეების უაღრესად მაღალმხატვრულ და ორიგი-

ნალურ დამუშავებას თვლიან. ცნობილი გერმანული რეჟისორი ვოლფგანგ ლანგჰოფი წერს: „თეორიისა და პრაქტიკის, პარტიულობისა და ხელოვნების ერთიანობამ, შემეცნების დიალექტიკური მეთოდის თანმიმდევრულად გამოყენებამ შესაძლებელი გახადა სცენაზე რეალური ცხოვრებისეული მოვლენების ჩვენება, ხოლო თვით სცენას ღირსება და სიცოცხლე დაუბრუნა“ („Theater der Zeit“, 1964, № 4, S. 13). კაპიტალისტურ საფაროში ბრეტის წარმატება ვ. ლანგჰოფს მიანიჩა, „რეალიზმის გამარჯვებად მისტიციზმზე, სუბიექტივიზმზე და „აბსურდის“ ხელოვნებაზე“. ადვილი როდია თავი დაადლო ბრეტის შემოქმედების ინტელექტუალური ძალასა და ლოგიკას — დასძენს იგი. რა არის ბრეტის ნაწარმოებთა საერთო წარმატების საფუძველი? — აყენებს კითხვას ა. ადამოვი და იქვე პასუხობს: ის, რომ ბრეტის ნაწარმოებები განიხილავენ ჩვენი ეპოქის განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემებს; ბრეტმა თეატრი ბუნებრივად განცხრომის სფეროდან გამოიყვანა და მუშათა კლასის აღზრდის საშუალებად აქცია — ამბობს საადარ და ში, „ქირის თეატრის დირექტორი და რეჟისორი; „ბრეტის შემოქმედება რევოლუციურია და დიდი განმათავისუფლებელი სიმაღლის შემეცნალი“ — აღნიშნავს „პიკოლო თეატროს“ ხელმძღვანელი ვორჟიო შტრეკერი; ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის სფეროში ახალი მასშტაბების შექმნა, — ბრეტის დამსახურება — შეინიშნავს ცნობილი საბჭოთა რეჟისორი რ. სიმონოვი. ბრეტის შემოქმედების მსოფლიო რეზონანსზე და მნიშვნელობაზე წერენ და ლაპარაკობენ გამოჩენილი ინგლისელი დრამატურგი ჯონ პრისტლი, უნგრელი პროფესორი ფერენც პონტი, ინგლისელი რეჟისორი ბერნარდ მიელი, ბელგრადის უნივერსიტეტის პროფესორი მილიან მიოასევიჩი, ჩვენი — ნ. თსლოპოვი და ბვერი სხვა.

მაგრამ, ცხადია, ბრეტის პიესები ყველგან ასე არ წაუკითხავთ. დასავლური მოდერნიზმის დამცველები დღესაც „არ წყალობენ“ ბრეტს და თუ მიანიც გამოჩნდება ხოლმე მათ სცენაზე ეს „ამაფორიაქებელი ხელოვანი“, მაშინვე დაიწყება ლაპარაკი „ეპიკური თეატრის“ სანახაობით შესაძლებლობებასა და ფორმალისტურ ექსპერიმენტებზე; ბევრგან ბრეტის მხოლოდ იმ პიესებს დამებენ, რომლებიც, მათი აზრით, ძირითადი სანახაობით მსარგა. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი პიესის რეჟისორული ინტერპრეტაცია აშკარად ეწინააღმდეგება ავტორის ჩანაფიქრს, ან კიდევ, როცა თვითნებურად ცვლიან და ამახინჯავენ ავტორისეულ ტექსტს. ამ მხრივ, ალბათ, ყველას გაადაჭარბა დასავლეთ გერმანიის ცალკეულმა თეატრებმა და მათმა მუშაკებმა, რომლებიც ერთ ხელთ ენდაუჭებიან შე-20 საუკუნის გერმანელი კლასიკოსის სახელსა და ავტორიტეტს, ხოლო მეორეთი „საწირობენ“ ბრეტის ცალკულ პიესებსა და სცენებს. სანიმუშოდ დავასახელებთ მხოლოდ ერთ მაგალითს.

„კავკასიური ცარცის წრე“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბერგმა თეატრმა დადგა. ამ თეატრებს არ მოსწონდათ პიესის პირველი ნაწილი, ე. წ. პროლოგი „დავაჯვლის გამო“, სადაც სოციალისტური საზოგადოების ფონია მოხაზული. ამიტომ იმგვარად ცვლიდნენ მას, რომ ბრეტის-

სული სცენიდან არაფერი რჩებოდა. 1962 წელს მიუნჰენის თეატრმა „კამერშილემი“ პროლოგი საერთოდ უარყო და, ნიუხედავად ჰ. ვაიკელისა და სხვების პროტესტისა, პიესა ფაქტობრივად შვსავალი სცენის გარეშე წარმოადგინა. ამგვარი მანაბულავია კი არსებობდა იმას ნიშნავს, რომ პიესას ხელოვნურად ჩამოაცილო ვიპირული პლანი, რომელშიაც თანამედროვეობის აქტუალური საკითხებისა გასმული და შეინარჩუნო მხოლოდ პირობითი — ზღაპრული ფონი, რომელიც პროლოგში წარმოუგენილ ამბის „გაუხსნობას“ ემსახურება. სხვაგვარად, „კავკასიური ცარცის წრის“ შვსავალი სცენების უარყოფით უარყოფილია თვით პიესის ძირითადი იდეა, ახსნილია ის მძლავრი ბრეტისეული პროფესორი, რომელიც თანამედროვეობის სხვით მთელ პიესას ანათებს.

„ჯავახისული ლამაზობა ბრეტის წინააღმდეგ“ — ასეთი სათაური აქვს ვერმანელი კრიტიკოსის ანდრე მიულერის წიგნს, რომელშიც გადმოცემულია ამგვარი ფაქტები დასავლეთ გერმანიის თეატრალური ცხოვრებიდან.

საბჭოთა სცენაზე ჰუმანიტი და დემოკრატ ბრეტის მიეღი ხშირი ამტყვევლა. ეს საცხები კანონზომიერება, რადგან პროგრესულ თეატრალურ ტრადიციებზე აღზრდილმა საბჭოთა რეჟისორებმა ადვილად მიიღეს აზრის სამყაროს, რომელსაც ბრეტის ჰქვია. მაგრამ მათ ასევე ადვილად ვერ მონახეს ბრეტის იდეური სამყაროს მხატვრულად ასახვის საშუალებები, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად თვით ბრეტის იდეაზე თავისივე პიესების მეტად საინტერესო კომენტარს, პერსონაჟებისა და სცენების დრამატურგიულ და რეჟისორულ დახასიათებას.

ბრეტის — რეალიზმის თეორეტიკოსი დრამატურგისა და თეატრალური ხელოვნებაში, სინამდვილის ასახვის მხატვრულ ფორმათა და საშუალებათა დამკვირვებელი მაძიებელი „მცენიერების საუკუნეში“, თავისი მემკვიდრეობით ახლოს მივიდა საბჭოთა სინამდვილესთან. ამიტომ მისი დამკვიდრება ჩვენი თეატრის რეპერტუარში საცხებით კანონზომიერი ფაქტია. საშუალოდ მხოლოდ ისაა, რომ ზოგიერთმა თეატრმა ვერ გაიგო ამ ფაქტის კანონზომიერება და იგი მოდული გატაცების შედეგად ჩათვალა. ბრეტის რომ ბრეტ არ არის ეს ვერც თეატრალური კრიტიკოსების ერთმა ნაწილმა გაიგო. მათ ჯერ კიდევ ვერ ახსნეს სათანადოდ ბრეტის შემოქმედების თავისებურებანი, ვერ უჩვენეს ის იდეური და მხატვრული სიმდიდრე, რითაც მისი პიესები ახალი ძალით ამტყველდნენ ჩვენს დღეებში. იგივე ითქმის ცალკულ რეჟისორებზეც. მათ ისიც ვერ გაიგეს ბრეტისეული სურათი, რომელიც ნაწარმოებები შეეჩინათ თავიანთი თეატრებისათვის, როგორ მხატვრული გადაწყვეტას თხოულობდა ესა თუ ის პიესა. ამგვარი რეჟისორისათვის, ცხადია ბრეტს მოდა და არა კანონზომიერება.

საბჭოთა სცენაზე ბრეტის პიესების წარმოდგენის დადებით ცდად ჩემთვის ცნობილი ნიმუშებიდან უნდა მივიჩნიო „არტურს უეს კარიერა“ ლინინგრადის აკადემიურ თეატრში (რეჟისორი ე. აქსერი), „კეთილი ადამიანი სუხუანიდან“ მოსკოვის დრამისა და კომედიის თეატრში (რეჟისორი ი. ლუბიშოვი) და ნაწილობრივ „კავკასიური ცარცის წრე“ მოსკოვის გოგოლის სახელობის დრამატულ თეატრში (რეჟი-

სორი ა. დუნავეი). ეს სამექტაკლები არ იმეორებენ „ბერლინერ ანსამბლის“ „მოდელესს“, მაგრამ მაინც ახლოს არიან თეატრალური ზელოვნების ბრექტისეულ ნიმუშებთან. დასახელებულმა რეჟისორებმა სწორად გაიგეს ბრექტის „ეპიკური“ ტილოს თავისებურებანი, დროულად მიხედნენ, რომ ამ პიესების მხატვრული ხორცშესხმა არ შეიძლებოდა „ჩვეულებრივი“ დრამატული საშუალებებით.

ამასვე ვერ ვიტყვით მოსკოვის მთავოკისის სახელობის თეატრის სამექტაკლებზე — „კავკასიური ცარცის წრე“ (რეჟისორი ვ. დუდინი) და „დედა კურაჟი“ (რეჟისორი მ. შტრაუხი), აგრეთვე „სამგროზიან ოპერაზე“ სტანისლავსკის სახელობის დრამატულ თეატრში (რეჟისორი ს. ტუმანოვი). მიუხედავად ზოგიერთი მიგნებისა, სამექტაკლებში დაცული არ არის ბრექტის რამდენიმე მნიშვნელოვანი მითითება, დარღვეულია „ეპიკური დრამის“ მითხვენები, არ იგრძნობა სტილის ერთიანობა.

ცნობილია, რომ „კავკასიურ ცარცის წრეში“ ბრექტი არ იცავს ისტორიული კოლორიტს, პირობითად მოხაზული ქართულ-აღმოსავლური ფონი მხოლოდ „გაუცხოების ეფექტისათვის“ არის გამოყენებული. ამიტომ უხეში შეცდომაა პიესის, ასე ვთქვათ, ქართულ ყაიდაზე დადგმა, მოჩვენებითი ქართულ-აღმოსავლური ფონის დაახლოებით მაინც ისე წარმოდგენა, როგორც ეს ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება. რეჟისორი ვ. დუდინი კი მუსიკასა და ტანსაცმელსაც კი ქართული ისტორიული კოლორიტის შექმნისათვის იყენებს და ამით არსებითად ცვლის პიესის ხასიათს. ბრექტს რომ ქართული სინამდვილის წარმოსახვა წინაშეობდა, იგი ადვილად მოახერხებდა ამას და არ აურევდა ერთმანეთში ქართულსა და საერთოდ აღმოსავლურს, ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანს, თბილისსა და ასტრახანს.

სხვაგვარად ეწინააღმდეგება ბრექტის კონცეფციას „დედა კურაჟი“ მ. შტრაუხის ინტერპრეტაციაში. პიესაში, როგორც ვიცით, დედა კურაჟი მხოლოდ ერთხელ (მექქესე სურათის ბოლოს) წარმოთქვამს, ისიც ხმადალა, სიტყვებს: „წყევლიმც იყოს ომი“. ეს იმიტომ, რომ ბრექტი ყოველთვის ცდილობდა იდეა მთელი ნაწარმოებიდან, მთელი მოქმედებიდან გამოსულიყო მასზე ყოველგვარი საგანგებო მითითების გარეშე. თანაც, ეს არის სიტყვით შვილის სიკვდილით გულმოდგინედ დიდისა და არა ადამიანისა, რომელსაც გატყვევლები წარმოდგენა აქვს ომის სოციალურ ძვრებზე, საზოგადოების მამოძრავებელ ძალეზე. წყლმწვეტელი, დაძულებული თეატრი, რომელსაც ომმა „ჭკუა ვერ ასწავლა“, შვილების დაღუპვის შემდეგ თვით შეებმება ფურცლიდან და უსასტიტესად ისევ ბრძოლის ველისაკენ მიდის, რათა ჯარისკაცებთან წვრილმანების გაჭრობით შეინარჩუნოს არსებობა. ამგვარი ფინალი უშუალოდ გამოიძინარეობს ბრექტის შეხედულებებიდან ნახულისაღმი მაყურებლის „კრიტიკული და-მოკიდებულების“ შესახებ, რაც მაყურებლის აზროვნების გააქტიურებასა და სწორი ლოგიკური დასკვნების გაკეთებას გულისხმობს. ბრექტი წერს: „ამ პიესაში... კურაჟი მომზადარი კატასტროფიდან, როგორც ხედავთ, ვერაფერს სწავლობს... მაგრამ აქ დრამატურგი რეალისტი იყო. მართალია,

კურაჟი ვერაფერს სწავლობს, მაგრამ, ჩემი აზრით, მაყურებელი მაინც ისწავლის რაიმეს, როცა მას უცქერის“ („კრემლული თეატრარბატი“, გვ. 255). პიესის ავტორი დარწმუნებულია, რომ მაყურებელი ამგვარი ფინალის შემდგომ იტყვის: „ბრძოლა კურაჟი, ჭკუა ვერ ისწავლა, მაგრამ, სულერთია, მაინც ვერ გადაურჩება დაღუპვას“. ეს კრიტიკული დასკვნა უფრო ძვირფასია ბრექტისათვის, ვიდრე ის, რომ მაყურებლის მსჯელობა დამთავრებული იქნება, სადაც შეიძლებოდა პიესის დამთავრება: ღონემხმდილი კურაჟი აღარ წამოშლდარეოდა და აღარ გათორა ფურგონი სცენიდან.

სწორედ ასე მთავრდება „დედა კურაჟი“ მოსკოვის თეატრის სცენაზე. თანაც ყველა სცენაში საგანგებოდაა ხაზგასმული ომის დამღუპველი გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე. კურაჟის როლის შემსრულებელი განსაკუთრებული პათეტიკით (შეიძლება ითქვას, ყვირილით) წარმოთქვამს წვეთით მოტივალ სიტყვებს მეექვსე სურათიდან. „ყველაფერი ეს თავისებურად საინტერესოა, მაგრამ ეს ბრექტი არ არის“ — თქვა ჩემთან საუბრისას ელენე ვაიკოლა. თვით ბრექტი 1952 წელს ვუპირტალის დრამატული თეატრის დირექტორთან ე. ა. ვინსიან საუბარში ამბობს: „პიესა „დედა კურაჟი და მისი შვილები“, ცხადია, შეიძლება დაიდგას ძველი მანერითაც (რეჟი თეატრებს ხომ ყველაფერი შეუძლიათ დადგან — „ოიდიპოსიდან“ დაწყებული „თახვის ქურქამდე“ — თანაც, არა იმიტომ, რომ თეატრებს აქვთ რაღაც საკუთარი ძლიერი სტილი, რომელმაც სხვადასხვა კულტურის მიღწევები შეითვისა, არამედ იმიტომ, რომ მათ საერთოდ არა აქვთ არავითარი სტილი), მაგრამ ძველი მანერით თამაშის დროს პიესა დაკარგავდა სადაკუთრებულ, მისთვის დამახასიათებელ ქმედით ძალას და საზოგადოებრივ ფუნქციას“.

ბრექტის „ეპიკური“ პიესები სცენური განსახიერებისათვის საკმაოდ ძნელია. დრამატულ და ეპიკურ პლანებში მოქმედების გაშლა, მოქმედების ხშირი „ეპიკური“ წყვეტილობა, მუსიკალური და რეჟიტაციული ჩანარებები ართლებს „ტრადიციული“ დრამატული თეატრის მუშაობას ბრექტის პიესაზე. ამიტომ, ცხადია, თეატრი, რომელიც შემოქმედებთან და ვერ მიუდგება გერმანული დრამატურგის ნაწარმოებისა და ვერ მიაგნებს გასალებს მისი მხატვრული გახსნისათვის, ცხადია, მხოლოდ მოდას გადაუღებს ხასკს და ვერ მოიპოვებს შემოქმედებით წარმატებას. ჩვენე აზრით, სწორედ ასე მოუვიდა მოსკოვის კ. სტანისლავსკის სახელობის დრამატულ თეატრს, რომელმაც „სამგროზიან ოპერა“ დადგა. შესაძლებელია, შემოქმედებითი წარმატება არც ამ პიესის თბილისური დადგმა, მაგრამ იგი სცენურად მაინც რუსთაველის სახელობის თეატრში უკეთესადაა გადაწყვეტილი (დამდგმელი დ. ალექსიძე), ვიდრე მოსკოვის თეატრში (სხვათაშორის, ეს მოსაოველმა კრიტიკოსებმაც აღნიშნეს).

ახლა უკვე ვსვამთათვის ფაქტია, რომ ბერტოლტ ბრექტის პიესები დამკვიდრდა საბჭოთა თეატრის რეპერტუარში. ეს სასვეტით კანონზომიერი მოვლენაა. ამოკანა ისაა, რომ სწორად გვეხსიოდეს ამ კანონზომიერების თეორიული საფუძველი და შემოქმედებითად ვიცავდეთ მას თეატრალურ ცხოვრებაში.

ამ წელი შესრულდა გამოჩენილი რუსი პიანისტისა და პედაგოგის ანა ესიპოვას გარდაცვალებიდან. ა. ესიპოვა ეყოფინის იმ დიდ ხელოვანთა რიცხვს, რომელთა მოღვაწეობის არც და ისტორიულ მნიშვნელობა სცილდება თავისი ეპოქისა და ქვეყნის ფარგლებს და რომელთა შემოქმედება სამუდამოდ რჩება კაცობრიობის კულტურულ სავანურში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იძენს ესიპოვას მოწაფის — გამოჩენილი ქართველი მუსიკოსი ქალის პროფ. ანასტასია ვირსალაძის მოგონებები, რომლებიც პირველად ქვეყნდება სრული სახით.

ჩვენი

განსჯა

ანა

ესიპოვა

ანასტასია ვირსალაძე

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, პროფესორი



ართველთაგან მხოლოდ მე მხვდა წილად ბედნიერება ვყოფილიყავი დიდი მუსიკოსის — პიანისტისა და პედაგოგის ანა ესიპოვას მოწაფე. ჩემი ძვირფასი მასწავლებლის ხსოვნას მუდამ სათუთად ვინახავდი და ვინახავ. ყოველთვის ვცდილობდი ჩვენს მუსიკალურ ახალგაზრდაობაში დამეწერა მისი საშემსრულებლო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები და დღეს, როდესაც ესიპოვას მოწაფეთაგან და თანამედროვეთაგან სულ ორიოდე კაციღა დარჩა ცოცხალი, მინდა ახალგაზრდა მუსიკალურ თაობებს გაეუწიარო ჩემი მოგონებები და დაკვირვებები ამ დიდი და თვითმყოფადი ხელოვანის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ.

გენიალური პიანისტის ანტონ რუბინშტეინის შემდეგ ანა ესიპოვა პირველი რუსი პიანისტი იყო, რომელმაც თავის მშობლიურ ხელოვნებას სახელი გაუთქვა. განუზომლად დიდა ესიპოვას, როგორც პედაგოგის და მასხურებაც. მან მრავალი ბრწყინვალე პიანისტი აღზარდა. ალექსანდრე გლაზუნოვი ამბობდა: „როგორც შოპენმა შექმნა ერთიანი ფორმისა და სხვადასხვა შინაარსის 24 პრელუდია, ასევე ესიპოვამ გამოზარდა ერთიანი სკოლისა და სხვადასხვა ინდივიდუალობის მრავალი მოწაფე“.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ესიპოვა პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლობდა, იგი გამოვიდა ქ. ზალცბურგში მოცარტისადმი მიძღვნილ მუსიკალურ ფესტივალზე და უდიდესი წარმატებით შეასრულა მოცარტის რე-მინორული კონცერტი, რომელიც წარმოუდგენლად მოკლე დროში — სამ დღეში შეისწავლა.

მიუხედავად იმისა, რომ ესიპოვას მასწავლებელი—თეოდორ ლეშეტციკი წარმოშობით რუსი არ იყო და მუსიკალური განათლებაც დასავლეთში ჰქონდა მიღებული, იგი ანტონ რუბინშტეინის პიანისტის დიდ გავლენას განიცდიდა და თავისი პედაგოგიური პრინციპებიც მისი პიანისტური სკოლის საფუძველზე ააგო. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ესიპოვა თავის პროფესორ თ. ლეშეტციკიზე გათხოვდა და თან წაჰყვა მას ვენაში, სადაც საკონცერტო მოღვაწეობის პარალელურად მუუდლეს პედაგოგიურ მუშაობაშიც ეხმარებოდა. ვენაში მან 1894 წლამდე დაჰყო, შემდეგ კი გულმა სამშობლოსკენ გამოწვია.

ესიპოვა და ლეშეტციკი შემდგომ კი დამორღწენ ერთმანეთს, მაგრამ მათი მეგობრული ურთიერთობა არ შეწყვეტილა მომდევნო წლებშიც. საზღვარგარეთ ყოფნისას ესიპოვა, ჩვეულებრივ, ჩადიდა ხოლმე ვენაში, სადაც ცხოვრობდა ლეშეტციკი. ლეშეტციკი ძალზე მაღალი აზრისა იყო ესიპოვაზე. თუმცა მის ხელში გაიარეს ისეთმა პიანისტებმა, როგორებიც არიან შნაბელი, პადერვესი, ზაუერი, ფრიდმანი და მრავალი სხვა, იგი მუდამ იმეორებდა—მეორე ესიპოვა არ არსებობს.

რუსეთში რომ დაბრუნდა, ესიპოვა უკვე სახელმწიფო პიანისტი იყო. მისი საშემსრულებლო ხელოვნება აღიარებულ იქნა ორსავე კონტინენტზე—ევროპასა და ამერიკაში. რუსეთში დაბრუნებამდე მან 700 კონცერტი გამართა (აქედან 105 ამერიკაში). უცხოეთის პრესა დიდებით მოსავდა და გენიალურ შემსრულებელს უწოდებდა მას. ეს წარმატება უმთავრესად აიხსნებოდა იმით, რომ ესიპოვას ტექნიკურად უზადო და

ღრმად გააზრებული შესრულება ცოცხალი ადამიანური გრძნობით, არტიკული გზნებითა და პოეტურობით იყო მოსილი.

ამ დროისათვის ესპიოვას რეპერტუარში თითქმის მთელი საფორტეპიანო ლიტერატურა შედიოდა, კერძოდ, 30-მდე საფორტეპიანო კონცერტი. ერთადერთი, ვინც ამ მხრივ შეედრებოდა მას თანამედროვეთა შორის, იყო ლისტის სავეკრელი მოწაფე — გათქმული დირიჟორი და პიანისტი ჰანს ფონ-ბიულოვი.

მე უკვე მოვიყვანე ესპიოვას განსაცვიფრებელი მესხიერების დამადასტურებელი ერთი მაგალითი, დამატებით შემიძლია მოვიგონო ასეთი შემთხვევები: გამოსახოვარ კონცერტზე ამერიკაში მან დაუკრა ამერიკელ კომპოზიტორთა 18 პიესა, რომლებიც ერთ კვირაში შეისწავლა, ხოლო მენდელსონის 14 გვერდიან პრელუდიასა და ფუგის საკონცერტო მომზადების ერთი დღე მოანდომა. ესპიოვას შეეძლო ბაზის ყველა ფუგა დადგრა ზეპირად ცალ-ცალკე მარჯვდა და მარცხენა ხელით. როგორც მისი ერთ-ერთი მოწაფე რ. ლივშიცი იგონებს, საჭიროების შემთხვევაში ესპიოვა ახალ ნაწარმოებებს სწავლობდა მხოლოდ და მხოლოდ თვალზეთ, ინსტრუმენტის გარეშე, რითაც ანცვიფრებად მახლობლებს.

პეტერბურგის კონსერვატორიაში დამკვიდრებისთანავე ესპიოვამ უდიდესი ავტორიტეტი მოიხვეჭა და სულ მალე დაჩრდილა იმ დროისათვის ცნობილი პედაგოგები. მას ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა კონსერვატორიის დირექტორი ა. გლაზუნოვი, მის კლასში მოხვედრასუ ყველა ოცნებობდა, ამიტომაც რყო რომ მუდამ ძალიან დიდი კლასი ჰყავდა. მე რიგით 46-ე მოწაფე ვიყავი, როდესაც მის კლასში ჩავიკრიფე. ეს იყო 1903 წელს. ესპიოვამ პეტერბურგის კონსერვატორიაში 20 წელი იმოდღავა. ეს არც თუ ისე დიდი დროა საკუთარი სკოლის შესაქმნელად, მაგრამ მან მაინც აღზარდა მრავალი შესანიშნავი პიანისტი. პირველ რიგში მინდა დავასახელო მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორი სერგეი პროკოფიევი, რომელმაც ბრწყინვალედ დაამთავრა კონსერვატორია ესპიოვას კლასით 1914 წელს, აგრეთვე ისეთი ცნობილი პიანისტები როგორც ივანე ი. ილინი, ა. ბოროვსკი, ლ. პიშნოვი, ლ. კროიციერი, ლიალევჩი, დომბროვსკი, ო. კალანტაროვა, ნ. ბონიაკოვსკაია, ა. ზეილიევიჩი, რომანოვსკი და სხვები¹.

ესპიოვა ძალზე თავმდაბალი ადამიანი იყო. ვერასოდეს გაიგონებდი მისგან, რომ ეთქვა „ჩემი სკოლა“, „ჩემი მეთოდი“, იგი მუდამ ამბობდა — „ლემეტიცკის სკოლა“.

ექვსი წელი გავატარე ესპიოვას კლასში და, შემიძლია ვთქვა, ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო, უბედნიერესი წლები. ესპიოვასთან მოხვედრამდე ვმეცადინებდი ცნობილი პეტერბურგელი პროფესორების ცერნიულენისა და ფან-არკის კლასებში. ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ 1903 წელს უპედაგოგოდ დავჩინე. ესპიოვას იმხანად 40 თავისი მოწაფე და ფან-არკის გამოშვების ხუთი მოწაფე ჰყავდა. არ ვციოდე როგორ მოვქმულდი და სასწრაფოველია მიგმართე ინს-

პეტეორს — პროფ. სამუსს. მან მიხრბა: „წადით, გეოთვა, და თვითონ მიმართეთ მას. ჩვენ ვერაფრით დავგზმარებთ, რადგანაც ესპიოვას ისედაც უკვე ფან-არკის მთელი გამოშვება ჩავაბარე“.

მე დღევანე ესპიოვას სასტუმრო ოთახში და გულისფანცქალით ველოდი. უეცრად შემოვიდა, თან ახლდა ვეებერთელა ძალდი—ინგლისური დღი. ესპიოვამ მიმიწვია რიალითან და ფეხზე მდგომმა მოსმინა მთელი პროგრამა. ძალინ რიალის ქვეშ მოკალათდა. ის იყო აღვიწყებუბტის ვარიაიები, რომ დღემა თავი დამადი ფეხზე, რომელიც პედალზე მედო, და მხოლოდ მაშინ აიღო იგი, როდესაც ესპიოვამ მიხრბა: „საკმარისია“, წამოდექი. „თქვენი მეტისმეტი მიდრეკილება გაქვთ მარჯვენა და მარცხენა ხელის არპეჯირებისადმი და ძალბით ცუდად მხარობთ პედალს“. გაჩემებული ვუსმენდი. იგი განაჯიბობდა: „რომ აკიყვანეთ, იძულებული გაგვდები ვინმე გაჟრიცხო კლასიდან“. მე გულმხურავად ვუბალებუ: „ო, არა ეს არ მინდა. მესმის, რომ თუ კი მე ასე ვაჯტობ თქვენთან მოხვედრას, ისინი, ვინც თქვენ კლასში არიან, მითუმეტეს არ მოინდობენ წასვლას. მათთვის ეს დიდი უბედურება იქნება. თუ ამიყვანთ, ძალიან ბევრს ვიმეცადინებ“. მან გაკვირვებით შემომხედა და მიხრბა: „ჩემთან, ჩემო ძვირფასო, ყველა ბევრს მეცადინებო“. მილად წამიხდა გუნება და ისღა წავიკურჩხლე: „ძალიან, ძალიან მაღობელი ვიქმები თქვენს, თუ ამიყვანთ“. გამოშვებობებისას მიხრბა: „მოდით სუშობაპის კონსერვატორიაში და სთხოვეთ ინსპექტორსა ჩემი მოწაფეების სია. უკუეთ იქ თქვენს გვარს ნახავთ, შევიძლია მათვალბოთ, რომ აკიყვანეთ, ხოლო თუ არა, არა“. მე მოწიწებით ოთავი დავუკარი და გამოვედი. გულმოკლებული ვიყავი. ეს ზრდილობიანი უარია, — ვფიქრობდი, ცხადია, არ ამიყვანს. როგორი ბრაზიანი ქალია და რა ბრაზიანი თვალბი აქვს. სჯობია, წავალ მალოშეშვობასთან, ისეთი კეთილია და თავისი მოწაფეებიც უყვარს“.

სამი მომდევნო დღე ძალზე დამაბული იყო ჩემთვის. დარწმუნებული ვიყავი, რომ ესპიოვა არ ამიყვანდა. ხუთმბათს კი შევიტყე, რომ მიღებულნი ვიყავი. სიხარულსაგან გარეგნულმა მამინევე პედალს და მამას ქუთისიცი, რომ ესპიოვასთან მოხვედი. საპასუხოდ მათგან მოსალისეი დეკეშა მივედი.

მე თუვა ნება მივეცი ასე დავწვილებთი მომეხთრო ის ეპიზოდი, რადგან ეს მართლაც დიდი და იშვიათი უბედნიერება იყო. ჩემთვის ესპიოვას კლასში მოხვედრა ცხოვრებაში ნამდვილი საგზურის მიღებას უდრდა.

მაგონდება პირველი გაკვეთილი. ჯგუფში ესპიოვასთან 11 კაცი ვირიგებოდი. ვმეცადინებოდი კვირაში ერთხელ. ორ საათზე ყველანი ადგილზე ვიყავით და იწყებოდა გაკვეთილი. შიშისაგან ვთრთოდი, რადგანაც ყველანი შესანიშნავად უკრავდნენ, წინასწარ არავინ იცოდა, თუ როდის მოუწვდა რიგი. ესპიოვა იძახებდა ჟურნალით ხან ერთს, ხან მეორეს. იგი ძალზე წყნარად მეცადინებოდა და ამან დამამშვიდა. ესპიოვა არ ნერვიულობდა, მხსა არ უწევდა, ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ ძალიან ბევრს უკრავდა. მისი ჩვენება მართლაც რომ საოლარი იყო. ქვეყანაზე ყველაფერი გადამაიწყვდა და მასთან ერთად ჩემი შიშიც. გონს მივედი გაკვეთილის დასასრულს,

¹ ლ. პიშნოვი და ა. ზეილიევიჩი ცხრასათიანა წლების ბოლოს რამდენიმე წელი ცხოვრობდნენ და პედაგოგობა მილანოვობას აწუოდნენ თბილისში.

როდესაც ესპოვამ ჩემი გვარი ამოვიკითხა. როალითან სასიკვდილოდ განწირულივით მივედი, მაგრამ პედაგოგის ალერსიანმა და გამამხმნეველებმა შემოხედვამ დამაწყნარა და ძალა შემმატა. ყველა მისი მითითება შევასრულე. ესპოვასთან ჩვეული ყველადინების შვიდი მანერა შესანიშნავი თვისებია. ერთი წელი, რომელიც მე წერვილად ფიცს ფან-არკთან გავატარი, ნამდვილი წამება იყო ჩემთვის, აქ კი თავს ბედნიერად ვგრძობობ.

შუბრტის ვარიაციები ადრე ფან-არკთან მქონდა გავლილი. ეს იყო შესანიშნავი მუსიკოსი, უდაოდ თვალსაჩინო პედაგოგი. ერთ-ერთ თავის კაცკეითლეს ესპოვამ გვიჩვენა ეს ვარიაციები, მე გაოგნებული ვისმენდი. განსხვავება კოლოსალური იყო. „იქ“—ყველაფერი კარგი, „აქ“ კი—შეუდარებელი, უხადლო იყო... როგორც მხატვარი ერთი-ორი მიონამით აცოტლებს სურათს, ისე ესპოვა რომელიმე პატარა დეტალით ჯაღორჭულად გარდასახავდა ხოლმე ნაწარმოებს. მაგონდება განთქმული პიანისტის გეონ პეტრის სიტყვები. ერთ-ერთ თავის კონცერტზე თბილისში დაკვრის დროს შევშალა. კონცერტის შემდეგ თბილისელი მუსიკოსები გარს შემოხვივნენ და აღტაცებას გამოსთქამდნენ. „ამ პიესაში მე შემცდა“—თქვა პეტრიმ. „ძალიან კარგი“ — პასუხობდნენ მას თანამოსაუბრენი, თორემ კაცს შეიძლებოდა ფიქარი, რომ თქვენ დემერი იხარო. „პეტრი დაფიქრდა და ჩემად თქვა: „კიდევ უფრო ძნელია იყო ხელოვანი“. ეს სიტყვები სამუდამოდ დამამახსოვრდა და აქ იბრძობ მოვიყვანე, რომ სწორედ ამ მაღალ ხელოვნებას ბოლომდე ფლობდა ჩემი მასწავლებელი...

განწყობილების შესაბამისად ესპოვას ცეცვლებიდა თვალის ფერი. თუ კარგ გუნებაზე იყო და აღერსიანად გვიყურებდა, თავებში მუქი ჰქონდა. თუ კი რითიმე უკმაყოფილო იყო, თავლები უმრგვალებოდა და მწვანე ფერს იტანდა.

ესპოვამ მეტად შინაარსიანი და მდიდარი გზა განვლო ხელოვნებაში, მას ძალზე ბევრი რამ ჰქონდა მისაგონარი, არასოდეს არ ლაპარაკობდა საკუთარ თავზე, მხოლოდ ერთ-სხელ მოიგონა თავისი გამოსვლა ბერლინში 1905 წლის გაზაფხულზე და ისიც იმიტომ, რომ მე თვითონ ვიხოვე მოეთხორო. „ეგვარებად ბერლინის ფილარმონიის დარბაზში შოპენის კონცერტს ფა მინორს. უკვე 20 წლის მანძილზე არ დამეკრა ბერლინში და დარწმუნებული ვიყავი, რომ სახლს აღარ ვახსოვდი. სრულიად დაწყნარებული გამოვედი ესტარადაზე, მაგრამ ისე მხურვალედ და აღტაცებით შემხდნენ, რომ წონასწორობიდან გამოვედი, აველდი და კონცერტის პირველი ნაწილი გაკლებით უფრო მართლად შევასრულე, ვიდრე ეს შემეძლო. ტაში ამჯერად გაკლებით უფრო თავმჯდომარეული იყო. ამან თითქოს ცეცხლი შემეკვია და მეორე და მესამე ნაწილების შემდეგ ოვაციებს დასასრული არ უნადა“.

ესპოვას, როგორც პიანისტის უმოთვრეს დამახასიათებელ თვისებას მისი ნიჭის ყოვლისმომცველობა შეადგენდა, რაც საშუალებას აძლევდა მას დახვეწილად შეესრულებინა სრულიად სხვადასხვა მხატვრული სტილის ნაწარმოები ისე, რომ მხმენელს შთაბეჭდილება ექმნებოდა, სწორედ ეს ავტორი და ეს ნაწარმოებია მისთვის ყველაზე საყვარელი და ახლოებული.

ჩვეულებრივ ხაზს უსვამენ ხოლმე ესპოვას მიერ რომანტიკოსებისა და კერძოდ, შოპენის შესრულებას.

მართლაც, რომანტიკოსთა მუსიკის ესპოვასეული შესრულება გამოირჩეოდა უფაქიზესი ლირიზმითა და პოეტურობით, გულიანობით, მომხიბველი სისადებით. თავის შესრულებაში ესპოვას შეჰქონდა ის, რისი ფიქსირებაც შეუძლებელია სანორტ ქაღალდზე, მაგრამ ნაწარმოების ნამდვილ სულსა და გულს შეადგენს. როდესაც ვლადიმერ რომანტიკოსთა მუსიკის შესრულებაზე, არ შემიძლია არ აღვნიშნო ე. წ. „tempo rubato“—ს ესპოვასეული ინტერპრეტაცია. თავისუფალი, ანუ, როგორც იტყვიან, „მოპარული“ რიტმი, დაწყებული ბახსა და ბეთოვენის რეჩიტატივებით და დამთავრებული რომანტიკოსთა პიესებით, ესპოვას უხადლო შესრულებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მაგონდება შოპენის კონცერტები, სონატები, ბალადები, სეკუნდები, ბარკაროლა, ნოქტურნები, პოლონეზები, ვალსები, მასურკები (ე. ი. არსებობდა შოპენის მთელი შემოქმედება), რომელთა შეუდარებელი შემსრულებელი იყო. აღსანიშნავია, რომ აქ მას ზოგჯერ საკუთარი ნიუნსები და ტემპები შეჰქონდა.

ჩემთვის დაუვიწყარია აგრეთვე მოცარტისა და ბეთოვენის ესპოვასეული შესრულება. ბეთოვენის საფორტეპიანო კონცერტები, სონატები, ვარიაციები და ბოლოს კრიციერის სონატა (ლეოპოლდ ავერთან ერთად) — ეს ჭკუმარტანად საშემსრულებლო შედეგები იყო და ისინი იყო ცოცხლობენ ჩემს მესსიერებაში, თითქოს გუშინ მომესმინოს.

პირველი ნაწარმოები, რომელიც მე მოვისმინე ესპოვას შესრულებით, გახლდათ ბეთოვენის კონცერტი № 5. მან თავებრუდამხვევით შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ბეთოვენის ეს შედეგრი მამნის სახეებით უნებნით იყო ჩემთვის, მუსიკალურად ნაკლებად განათლებული გოგონა, ის-ის იყო ჩავედი პეტერ ბურგერს, მსურველმა იმდენად ნათელი და მკაფიო იყო, რომ მე უხალ დავიმახსოვრე მთელი ნაწარმოები.

მინდა მოვიყვანო ერთი საგულსხმო შემთხვევა: ესპოვა აუერთან და ვერტიკალიზირან ერთად ასრულებდა ბეთოვენის ტრიოს დო-მინორს. ამ ტრიოს უნებუნე გვეხდებოდა უბრალო დო მაჟორული გაზა, რომელიც ორ დამდევალ ოქტავას მოიცავს. ამ ეპიზოდში როიალი მარტო უკრავს და მხოლოდ შემდეგ უერთდება მას ვიოლინი და ჩელი. ესპოვამ ეს გაზა თანაბარი ბგერით და მდორედ დაუკრა, მაგრამ მხატვრული ეფექტი იმდენად ძლიერი იყო, რომ დაზოგს აღფრთოვანების ოსება ამხსნა. მე თვითონ რომ არ ვყოფილიყავი იმ დროს დაზაზაში, იქნებ არც მერწმუნა ეს ამბავი.

ესპოვას სრულყოფამდე ჰქონდა განვითარებული საფორტეპიანი ტექნიკა, მისი ბერგა იმეითი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და თანაბრად ხილავდა მსმენელს, როგორც მქუხარე ფორტისიმოს, ისე უნაწესი პიანისიმოს დროს. ესპოვას პატარა, მაგრამ ძლიერი და მეტად მოქნილი ხლები ჰქონდა. იგი საოცარი სიმსუბუქით უკრავდა თვით ურთულეს პასაჟებსა და ე. პეტრის სიტყვებით „ესპოვას პატარა ხლები ჰქონდა, მაგრამ დიდი ვირტუოზი იყო“.

ესპოვას ტექნიკა განსაკუთრებული, თუ შეიძლება ითქვას, ცოცხალი, მფითქვე იყო. მისი ჯაღორჭული თითების შესრულებით ბრწყინადნენ არა მარტო შოპენისა და ლისტის ეტიუდები, არამედ უბრალო, ინსტრუქციული დანიშნულების ეტიუდებიც კი. ცნობილია, რომ ერთხელ თავის ახალგაზრდობაში

და ესთეტიკური მომენტები — აი, მისი რეპერტუარის ძირითადი ბირთვი.

ა. ვირსალაძეს თავის მოგონებებში სპეციალურად აქვს ხაზგასმული ცნობილი მწერ ე. წ. tempo rubato-ს დიდოსტატური ინტერპრეტაცია. (და უნდა ითქვას, რომ ამ სტერეოტიპ იგი თავისი მასწავლებლის ღირსეული მოწვევა) ეს აგოგორტის წინასწარ შეუძღებელი გამოყოფილი ჩვეულებრივი კარგი მომსახურების მქონე შემსრულებელს და აუცილებლად გულისხმობს თანდაყოლილ ესთეტიკურ ადღოს, მუსიკალურ ინტუიციას (როგორც ამბობს პიტეტი: „მგარამ მარტო წერინა არ იზამს, თუ ბუნებამ არ უშველია“), Rubato-ს მახვილ შეგრძნება ანიჭებდა ა. ვირსალაძის დაცრას დიდ მოქნილობას, სიფრთხილსა და ვრცელს და იკავებ ვიზუალურ დღეს მისი საუკეთესო მოწვევის — ელისო ვირსალაძის შესრულებაში.

მუსიკის მხურვალე, ადრატეული სიყვარული შეადგენს ა. ვირსალაძის, როგორც ხელოვანისა და ადამიანის უცვლელ ნათელ თვისებას, რომელიც თავლში ცემა უცვლას, ვინაც კი მოუხმენია იგი ესტრადაზე ან უსუბარია მასთან, და წარჩედ ამ სიყვარულმა მრავალმხრივ შეაპირობა ა. ვირსალაძის, როგორც პიანისტისა და პედაგოგის გამარჯვებები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია ვირსალაძე-პედაგოგის მოღვაწეობა. თავისი ნაბეჭარსაკუროვანო პედაგოგიური მუშაობის მანძილზე მან მუსიკის შესრულებელთა რამდენიმე თაობა აღზარდა. მისი მოწვევების—საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატების დ. ვლასენკოსა და ბ. ბაჰირიოვის საულები ფართოდაა ცნობილი მუსიკის მოყვარულთათვის. მისი საუკეთესო მოწვევის (დღეს ეს თამაშად შეიძლება ითქვას) — თბილისის სახ. კონსერვატორიის V კურსის სტუდენტის ელისო ვირსალაძის ნიშნა გაიგადა ჩაიკოვსკის სახელობის II საერთაშორისო კონკურსზე, ადრატეობაში მოიყვანა როგორც ექსპანსიური ქანდარა, ისე მკაცრი, თავმჯავებელი ფიური. (მგონდება პროფ. პ. ნიქიაუ-ზის მოსრებელი შენიშვნა: „მის დაცრაში არის ის, რასაც ჩემს ახალგაზრდაბაში „ღვთაებრივ ნაებრკალს“ უწოდებდნენ“). ელისოს დაცრაში, მიუღ მის არსებშია საოცრად ორგანოვალად აიხსა მისი ბებიისა და მასწავლებლის პიანისტური სკოლის და ინტელექტუალური — სულიერი კონსტრუქციის დამახასიათებელი თვისებები: უზადო გემოვნება, კათილმოობილება, სათნოება, არტისტიკაში. ელისო ჩვენი მუსიკალური კულტურის სიამყავა და მისი წარმატებებისა და გამარჯვებების გზა მხოლოდ დაიწყო. ანა ეს სიამოვა, ძალზე კმაყოფილი იქნებოდა თავისი შემოქმედებითი შთამომავლით!

აქ დწვარლებით არ შევებებით ა. ვირსალაძის პედაგოგიური

მეთოდის უცვლა მხარეს. მინდა მხოლოდ განვხაზავრო ის დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც გამოარჩევენ მისი საუკეთესო მოწვევების შესრულებას, მათი არტიტული „ხელწერის“ ინდივიდუალულობის მიუხედავად: ესაა — ემოციური და რაციონალური საწყისების მარბონიული შერწყმა, კეთილშობილი გემოვნება, ბგერითი პალტარის მრავალფეროვნება, პედაგოგის მალალი კულტურა აქ უდავოდ ვლინდება მათი უშუალო მასწავლებლისა და უფრო შორს კი — სკოლის ფუძემდებლის ა. ცნობავს საშემსრულებლო ტრადიციის ნაყოფიერი გავრცელება. უღდეს უფრადებას უთმობს ა. ვირსალაძე მხოლოდური ლოგის გამომუშავებას თავისი მოწვევებით. „მეოღლია უნდა მღეროდეს, მტკაველებდეს“ — ამბობდა ცნობავს და ეს პრინციპი მუღამ თანამედვერულად ინერგება ა. ვირსალაძის მიერ თავის კლასში. უნდა აღინიშნოს, ისიც რომ მკაფიო ინდივიდუალობის მქონე სტუდენტებს იგი არ ბოჭავს „შემსრულებლობითი თანაშემოქმედების“ (ლისტი) სათიხობი. ცხადია, უკვე იმის შემდეგ, რაც გულდამამიდა შესწავლილი სასოტ ტექსტი. თავისთავად იკულისხმება, რომ დიდი დრო ეთმობა სტუდენტების ტექნიკურ აღჭურვას, თუმცა პროფესორი აქაც ცდილობს შეიტანოს მეთადინებობაში შემოქმედებითი ელემენტი, მხატვრული სიხალისე.

დამლობს, არ შეიძლება არ ითქვას ვირსალაძე — პედაგოგის წარმატების ერთ-ერთ ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორზე. მისი პედაგოგიური მეთოდის განუყოფელ კომპონენტზე. ეს არის უდიდესი პირადული მომზიხებულობა, სამგალოთო სულიერი თვისებები, რომელთაც ასე აფასებდა იგი თავის საუკრად მასწავლებელში და რომლებიც შეიძლებელია შეუინიშნავი დარჩეს ადამიანს, რომელსაც უსწავლია თუნდაც უსუბარია მასთან.

ა. ვირსალაძის მოგონებები გამობარია ღრმა, წრფელი გრძნობით, კვშმარბიტი მოწინებით თავისი „მუსიკალური მშობლის“ მამართ. და არა მარტო მოგონებები შემოქმედებით სათიხებზე ხაზობის დროს ა. ვირსალაძემ არ შეიძლება არ გაიხსენოს ცნობავს, არ გამოიქვას ადრატეობა ცნობავს პიროვნებობა და საშემსრულებლო ხელოვნებით. ასეთი სიყვარული და ერთგულება ნაღვლილად ამაღლებუბელია და, უნდა ითქვას, რომ ასეთივე მაღლიერნი და ერთგულნი არიან ა. ვირსალაძის მისი მრავალრიცხოვანი მოწვევებით.

დღეს, მიუხედავად ხანღწეული ასაკისა, პროფ. ა. ვირსალაძე კვლავ საოცრად პროდუქტიულად მუშაობს. მის კლასში კონსერვატორიაში ამაჟამად თერთმეტი სტუდენტი და ასპირანტი ირიცხება და ერთადერთი, რასაც უჩივის მცოვანი პროფესორი, ეს ის არის, რომ სასწავლო წელი მხოლოდ ათ თვეს გრძელდება.

უკუთრვობა მად დღგარტელობა ჩვენი მუსიკალური კულტურის საკეთილდობლი:



3 იტალიური ტერმინი, რომელიც „მოპასრულ“, „შეეცილი“ ტემპს ნიშნავს. მისი დამამკედრებელი იყო შოპენი — პიანისტი.

სოლომონ იაშვილი



ლოტბარი, კელაპოგი

ბარამ ბარამიძე

ქართული სასიმღერო რეპერტუარის შენახვასა და გაფრცელებას ემსახურებოდა გამოჩენილ ქართველ ლოტბართა დიდი ბლეადა, რომელთა შორის შეფხედლები არცნობილ სახელებს: ავქსენტე მგერელიძე, ძუკუ ლოლუა, ნოკი ხურცია, კირილე პაჭკორია. დღესაც განაგრძობენ მოღვაწეობას მარო თარხნიშვილი, არტემ და ვლადიმერ ერქოშიაშვილები, ვანო მჭედლიშვილი, რომელთა ყოველდღიური ცხოვრება ხალხური სიმღერისადმი სიყვარულით და მისდამი სამსახურითაა სავსე.

ქართული სიმღერის შესწავლა-შეკრვებასა და პოპულარიზაციას დიდი ამაგი დახლო ღვაწლმოსილმა ლოტბარ-

მა სოლომონ გიორგის ძე იაშვილმაც, რომელსაც გასულ წელს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. აქედან თითქმის ნახევარი საუკუნე ქართული სიმღერის სამსახურს შეაღია და თავისი პატიოსანი და უანგარო შრომით დიდი სამსახური გაუწია ეროვნულ კულტურას.

1920 წელი. სურამის საზოგადოება საიამოვნებით ესწრება ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი გუნდის კონცერტებს შალვა მშველიძის ხელმძღვანელობით. გუნდის ერთ-ერთი წევრი და ლოტბარის მარჯვენა ხელია 17 წლის მომღერალი სოლომონ იაშვილი, რომელიც აქ ხალხური სიმღერის სიყვარულმა და დიდმა ეროვნულმა გრძობამ მიიზიდა. ფართოდება რე-

პერტუარი, იხვეწება გემოვნება. იხრდება ინტერესები. შალვა მშველიძის თბილისში გამგზავრების შემდეგ, იწყება პირველი ნაბიჯები სალოტბარო ხელოვნების ასათვისებლად.

მაგრამ სოლომონ იაშვილის, როგორც მუსიკოსის, ბიოგრაფია უფრო ადრე იწყება. გიორგი (გოგუცა) იაშვილის (მამის) ოჯახი განთქმული იყო სურამში, როგორც მომღერალთა კერა. ახლობელნი, მეზობლები და მოაგარაკენი ხშირად მოუხიბლავს იაშვილების საოჯახო კონცერტებს, ისინი იშვიათი გემოვნებით ასრულებდნენ ქართულ სიმღერებსა და საგალობლებს. ამ ტრადიციებზე აღზრდილი სოლომონი სკოლაში სწავლის პერიოდშივე ამქდანებს სიმღერისადმი დიდ მისწრაფებას. აყალიბებს მომღერალთა კოლექტივს კლასის ამხანაგები-საგან და მონაწილეობს სასკოლო კონცერტებში, საშურის რეინიგულთა კლუბში გამართულ საღამოებზე.

გადის წლები. ს. იაშვილს, როგორც გამოცდილ ლოტბარს, იწვევენ სხვადასხვა სამუშაოებზე. 1924-27 წ.წ. ხელმძღვანელობს სურამის ერთ-ერთი სკოლის მომღერალთა გუნდს. შემდეგ კი ამავე წლებში კომპოზიტორების შალვა მშველიძისა და გრიგოლ ჩხიკავასი დახმარებით იგი ამთავრებს მუსიკალურ მასწავლებელს, ხოლო შემდეგ თბილისის კონსერვატორიას.

1936 წ. ს. იაშვილი ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგეა, მოღვაწეობს მელიტონ ბალანჩივაძის გვერდით, რომელიც ამ სასწავლებელს განაგებდა. შემდეგ იგი კვავ თბილისშია მუსიკალური სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგედ. პარალელურად მოღვაწეობს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის საგუნდო კოლექტივებში. საქმისადმი კეთილსინდისიერი და მოკიდებულებით და ნაყოფიერი მუშაობით ადმინისტრაციის მადლობას იმსახურებს.

1934 წელს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის დაგვლებით ს. იაშვილი იგზავნება ერთ-ერთ ქართულ დივიზიონში მუსიკალური წრების ხელმძღვანელად, სადაც სიმღერის 120 კაციან ანსამბლს აყალიბებს. 1939 წ. იგი თბილი-



სულომის ძონაწულეთა გუბერნიაში შალვა ძმებისა და სოლომონ იაშვილის ხელმძღვანელობით

სის ხალხური შემოქმედების სახლის მუსიკალური განყოფილების გამგეა. გამგეობის დავალებით ს. იაშვილი ხაშურისა და ბორჯომის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ გუნდებს ხელმძღვანელობს. 1940 წელს ხაშურის სარაიონო ანსამბლი მონაწილეობს საკავშირო რადიო დათვალიერებაში. გაზეთი „გულთკი“ საგანგებოდ აღნიშნავს ამ კოლექტივის წარმატებას, რომელმაც დათვალიერებაზე უმაღლესი შეფასება — „ხუთი“ დაიმსახურა.

განსაკუთრებულ წარმატებას ს. იაშვილი შრომითი რეზერვის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლიან მუშაობის დროს აღწევს. ეს ანსამბლი 1943 წლიდან მოყოლებული, ხუთი წლის განმავლობაში, საკავშირო ოლიმპიადების ლაურეატი ხდება, მისი ხელმძღვანელი კი სამკერ-

დე ნიშნით — „სახელმწიფო შრომითი რეზერვის წარჩინებული“ და ხუთი საკავშირო სივლითი ჯილდოდება. სამამულო ომის პერიოდში სოლომონ იაშვილი სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედ ანსამბლს აყალიბებს, რომელიც 1945 წლის რესპუბლიკური ოლიმპიადაზე პირველ პრემიას იმსახურებს. ამავე წელს ამაგდარი ლობჯინაძის ჯილდოდება მემლით „შრომითი მამაცობისათვის“.

1950 წლიდან ს. იაშვილი პარალელურად აყალიბებს ანსამბლებს ხაშურში, ბორჯომში, ახალციხეში, ასპინძასა და კასპში, სადაც ამ კეთილშობილი საქმის პიონერად ითვლება, ვინაიდან ახალციხისა და ასპინძის რაიონებში ამგვარ წამოწყებებს მანამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

ხაშურის სარაიონო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც აღწეულია გაიანწილა VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, ხელმძღვანელი სოლომონ იაშვილი



აღნიშნულ კოლექტივებთან ერთად ს. იაშვილი მუდმივ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკურ დათვალიერებებში, ეწვევა ფართო საზოგადოებრივ მუშაობას, რისთვისაც „საპატიო ნიშნის“ ორდენით აჯილდოებენ.

ს. გ. იაშვილი დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პედაგოგიური განხრითაც. იგი წლების განმავლობაში დაუღალავად მუშაობს მე-40, 29-ე, 34-ე, 102-ე, 24-ე და მე-10 შრომით სკოლებში, რისთვისაც მას 1961 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს დამსახურებულო მასწავლებლის წოდება მიენიჭა. მის მიერ აღზრდილი მოსწავლეთა შორის არიან გიორგი ცაბაძე, მერი დავითაშვილი და შოთა მილორავა, მომღერალი და ლობჯინა ვ. ჭუმბურიძე. თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი შ. თაბუკაშვილი, რ. გორგიჯანი, ე. გულაშვილი და სხვები მაღლიერებით მოიგონებენ ამაგდარ პედაგოგს.

1957 წ. საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლმა და ბორჯომის კულტურის სახლმა დიდი მადლობის გრძობითა და სიყვარულით აღნიშნეს ქართული კულტურის მოამაგის — ს. გ. იაშვილის მოღვაწეობის 35 წლისთავი, ხოლო 1964 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურმა სექციამ, საქართველოს საგუნდო და ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ და საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლმა დღევანდელი მუშაკის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაუმართეს. ს. გ. იაშვილი ამ თარიღთან დაკავშირებით დაჯილდოვდა სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“ და საქ. სსრ კულტურის სამინისტროს საპატიო სივლით. ამ საღამოზე გულთბილად აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი და საამაყო შრომა აქვს მას გაწეული ხალხისათვის, ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის.

ახლანდელ ქართული გუნდური და ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის სოლომონ გიორგის ძე იაშვილს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ინფორმაციის არცერთ სხვა დარგს არ გააჩნია ისეთი ფართო აუდიტორია, როგორც ტელევიზიას. ტელევიზიის მიღწევებზე, მის ფართო პოპულარულ დაუსრულებლად შეიძლება საუბარი (რა თქმა უნდა აქ ლაპარაკია ტელევიზიაზე, მხოლოდ როგორც საშუალებაზე), მაგრამ ჩვენ ახლა სხვა რამეზე გვსურს გაგამახვილოთ ყურადღება.

ტელევიზია ფაქტია, რომ ტელევიზიას გარკვეული წვლილი შეაქვს მომავალი თაობის იდეურ და ესთეტიკურ აღზრდაში. გერანი ხომ მრავალსახოვანი წიგნია უხილავი ხელით გადა-

გამოძინებული, მხნე და ენერგიადღენილი მიჯდომილი მერხს...

ახლა კი წარმოდგინეთ: ბავშვი სკოლიდან დაღლილი მადის სახლში, საშინაო დავალეზებს ასრულებს, აქვს სხვა დატვირთვა — სპორტული სეჟები, უცხო ენის, ან მუსიკის გაკვეთილები... ყოველივე ამის შემდეგ კი, საღამოს ტელეეკრანთან მისი ასაკისთვის განკუთვნილი ერთსაათიანი ან კიდევ უფრო ხანგრძლივი გადაცემები და ასეთი დატვირთვა ყოველდღურად!

მაგრამ ტელეგადაცემა მაშინვე ხომ არ მთავრდება, როცა დიქტორი უცხადებს ბავშვებს: ახლა გერანი უფროსებს დაუთმეთო... ბავშვი კიდევ დიდხანსაა განცდამი... ეს, რა თქმა უნდა, მოქმედებს მის ნერვულ სისტემაზე.

ხშირად საბავშვო გადაცემებს მოსდევს რეპორტაჟები სპორტული მოედნიდან და დარბაზებიდან. ბავშვებს უყვართ სპორტი და დიქტორის თხოვნა ვეღარ სჭრის მათზე... არანაკლებ უყვარს მოზარდ თაობას ხელოვნება და ლიტერატურა... ასე რომ ვერც მშობლის სიმკაცრე, ვერც დიქტორის ავტორიტეტული მოთხოვნა მიზანს ვერ აღწევს.

ბუნებრივად ისმის კითხვა — როგორ მოვიქცეთ?... ჩენის აზრით, საბავშვო გადაცემები უნდა ეწყობოდეს კვირაში ორჯერ — შაბათ საღამოსა და კვირა დილას... დანარჩენ დღეებში მოზარდს უფლება მიეცეს გერანს მიუჯდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სპორტული რეპორტაჟი ან მხატვრული გადაცემა, ისიც ადრეულ საათებში...

ტელევიზიის „უხილავი ხელი“ ბავშვს ხდის პასივს, რადგან ბავშვი ყველაფერს მზამზარეულად დებულობს გერანიდან... შესცქერის მას, როგორც მოუხასიათება — წამოწოლილი თუ ნახევრად წამომჯდარი... აღარ კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს, იფიქრებს თამაშობებს.

ჭარბი საბავშვო გადაცემები მოქმედებს თვითონ გადაცემის სარისხზეც... რედაქციები იძულებული არიან შეაგვიან განკუთვნილი დრო და აღარ ფიქრობენ საბავშვო მწერლობის სპეციფიკასა და ენაზე... რადანნი უშინსკები, გოგებაშვილები და პესტალოცები უნდა თანამშრომლობდნენ, რომ გადაცემებისათვის განკუთვნილი ასტრონომიული დრო შეაგონს!...

საქმეს ვერ შევლის დამძიმებული ფრაზის წინ ნათქვამი: „ძვირფასო ბავშვებო“.

უფრო სავალალო მდგომარეობაში არიან ადგილობრივი სტუდიების ნორჩი მაყურებლები... მათ ხომ ორი საბავშვო პროგრამით უზსაძინებლებიან (ერთი ადგილობრივისა, ერთიც ცენტრალური სტუდიის).

ჩვენი აზრით (ვლადიმერ როგორც მაყურებელი და მწიბული), უნდა გადაისინჯოს საბავშვო გადაცემების მიზანშეწონილი დაგეგმარება და უფრო გულისხმიერად მოვიკიდოთ მოზარდ მაყურებელს... საჭიროა დროულად თქვენ თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა პედაგოგებმა, მწერლებმა, ექიმებმა, ჟურნალისტებმა, მშობლებმა — რომ ტელევიზია კიდევ უფრო მძლავრ იარაღად გადაიქცეს ნორჩი თაობის აღსაზრდელად.

უიქრუკი

ცისურკ

პკანუხე

ტელევიზია და ბავშვები*

რევაზ ურუშაძე

